

საქართველოს დაცული ტერიტორიების  
განვითარების სტრატეგია და  
ეროვნული სამოქმედო გეგმა



საქართველოს დაცული ტერიტორიების  
განვითარების სტრატეგია და  
ეროვნული სამოქმედო გეგმა

თბილისი, 2009



## **შემოკლებულ ტერმინთა ასენა**

**CBD** – კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ

**CBD PoW on PAs** – ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კონვენციის დაცული ტერიტორიების სამუშაო პროგრამა

**CITES** – კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ

**CMS** – კონვენცია ველური ცხოველების მიგრირებად სახეობათა დაცვის შესახებ

**IUCN** – ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირი

**IUCN POSC** – ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის სამხრეთ კავკასიის პროგრამული ოფისი

**GEF** - მსოფლიო ბუნების ფონდი

**UNCCD** – გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ

**UNESCO** – გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაცია

**UNFCCC** – გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია

**USAID** – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

**US DoI ITAP** – აშშ შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ტექნიკური დახმარების პროგრამა

**WHC** – კონვენცია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ

**WWF** – ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი

## შინაარსი

1. შესავალი.....	5
2. დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია.....	7
2.1. პრინციპები .....	7
2.2. სამომავლო ხედვა.....	10
2.3. მიზენბი და ამოცანები .....	10
3. დაცული ტერიტორიების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2009-2014.....	12
დანართი 1: საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმოხილვა .....	35
1. საქართველოს ბიომრავალფეროვნების და დაცული ტერიტორიების მიმოხილვა .....	36
1.1. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.....	36
1.2. ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა გლობალურ და ლოკალურ დონეზე .....	36
1.3. დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით .....	37
2. დაცული ტერიტორიების როლი და მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მოხმარებაში.....	39
3. საქართველოში დაცული ტერიტორიების განვითარების მოკლე ისტორია .....	41
4. საქართველოს დაცული ტერიტორიების დღევანდელი მდგომარეობა .....	44
4.1. საქართველოს დაცული ტერიტორიები .....	44
4.2. დაცული ტერიტორიების არსებული მდგომარეობა .....	48
ლიტერატურა .....	53
საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა .....	54
დანართი 2: საქართველოს მიერ დაცული ტერიტორიების სფეროში საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებებისა და დაცული ტერიტორიების ეროვნული გეგმის ანალიზი .....	55

## 1. შესავალი

დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს მნიშვნელოვანი ბუნებრივი და კულტურული ტერიტორიების იდენტიფიცირების, მათი დაცულ ტერიტორიებად ჩამოყალიბების და უკვე არსებული დაცული ტერიტორიების მართვისა და დაცვის პროცესში გონივრული გადაწყვეტილებების მისაღებად არსებულ საუკეთესო ცოდნაზე დაყრდნობით. იგი განსაზღვრავს დაცული ტერიტორიებისთვის სასურველ მომავალს.

დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა წარმოადგენს პრინციპების, მიზნების, ამოცანების და უშუალოდ ქმედებათა სახელმძღვანელოს ეროვნულ, რეგიონულ და ლოკალურ დონეზე ბუნების კონსერვაციისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ხელშეწყობისათვის.

ეს დოკუმენტი გამიზნულია ხმელეთისა და წყლის ტერიტორიების, განსაკუთრებით კი ბუნებრივი და კულტურული ფასეულობებითა და ბიოლოგიური მრავალფეროვნებით გამორჩეული ტერიტორიების დაცვისა და შენარჩუნებისაკენ.

დაცული ტერიტორიების ეროვნული სამოქმედო გეგმა იძლევა სპეციალურ ქმედებათა ჩამონათვალს ახალი დაცული ტერიტორიების დაარსების ხელშეწყობისა და დაცული ტერიტორიების სისტემის მართვის გაუმჯობესებისათვის.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის.

დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა მომზადდა დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ IUCN-ისა და WWF-ის მხარდაჭერით. კერძოდ, დოკუმენტი ეყრდნობა: ა) IUCN POSC-ის მიერ ნორვეგის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით განხორციელებული პროექტის “Halting the Loss of Biodiversity in the Southern Caucasus - Regional implementation of the Countdown 2010 initiative” ფარგლებში მომზადებული დოკუმენტის - “საქართველოს განვითარების სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმა” სამუშაო ვერსიას, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება დაცული ტერიტორიების სისტემის ანალიზისა და დაცული ტერიტორიების სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომელთა და IUCN-ის ექსპერტთა სამუშაო შეხვედრების (2008) შედეგებს; ბ) IUCN POSC-ის მიერ ნორვეგის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით განხორციელებული პროექტის “Halting the Loss of Biodiversity in the Southern Caucasus - Regional implementation of the Countdown 2010 initiative” TEMATEA-ას კომპონენტის ფარგლებში, საქართველოში დაცული ტერიტორიების მოდულის ირგვლივ მომზადებულ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციების თანმიმდევრული შესრულებისათვის შემუშავებულ სახელმძღვანელო დოკუმენტის რეკომენდაციებს; და გ) WWF-ის მიერ MAVA Fondation pour la Protection de la Nature-ს დაფინანსებით მიმდინარე პროექტის “Protected Areas for a Living Planet – Caucasus Ecoregion” ფარგლებში მომზადებულ დოკუმენტს “საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესაძლებლობების განვითარების სამოქმედო გეგმა”, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა WWF-ისა და IUCN POSC-ის მიერ მომზადებულ “დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის შეფასებას” (2008) და WWF-ის მიერ მომზადებულ დაცული ტერიტორიების შესაძლებლობათა საჭიროებების შეფასებას”.

წარმოდგენილ დოკუმენტში განსაზღვრული კონკრეტული მოქმედებები უნდა შესრულდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ სხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თანამშრომლობით.

დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია გათვალისწინებულია ათწლიან პერიოდზე, ხოლო ეროვნული სამოქმედო გეგმა - ხუთწლიან პერიოდზე. ხუთი წლის გავლის შემდეგ საჭირო იქნება ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა დაეყრდნოს იმ დროისათვის მიღწეულ შედეგებსა და არსებულ კონკრეტულ სიტუაციას.

## 2. დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია

### 2.1. სტრატეგიული პრინციპები

საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია უნდა ეფუძნებოდეს ქვემოთ ჩამოთვლილ იმ ძირითად პრინციპებს<sup>1</sup>, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ დაცული ტერიტორიების სტრატეგიის განვითარება. ესენია:

#### - გადაწყვეტილების სიფრთხილით მიღების პრინციპი

გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნას ხელთარსებულ საუკეთესო მონაცემებზე დაყრდნობით. უნდა განხორციელდეს ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ კონსერვაციას დაცულ ტერიტორიებზე.

#### - წინასწარი დაცვის (პროფილაქტიკური) პრინციპი

გადაწყვეტილებები და მოქმედებები (დროებითი/წინასწარი დაცვის ზომები) დაცული ტერიტორიების ფასეულობების შენარჩუნებისთვის შეიძლება და უნდა გატარდეს სრულყოფილი, დასაბუთებული სამეცნიერო ინფორმაციის არქონის შემთხვევაშიც (მანამ, ვიდრე მიმდინარეობს დეტალური შეფასებითი კვლევები), დაცულ ტერიტორიებზე ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე პოტენციური უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების მიზნით. ნებისმიერი ასეთი გადაწყვეტილება თუ ქმედება (დროებითი/წინასწარი დაცვის ზომები) უნდა გამოყენებულ იქნას დროის განსაზღვრულ პერიოდში.

#### - ტრანსლოკაციის პრინციპი

მოქმედებები, რომლებიც დაცულ ტერიტორიებზე განსაკუთრებით საზიანოა ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნებისთვის და მათი თავიდან აცილება შეუძლებელია, უნდა წარიმართოს იმ არეალში, სადაც ისინი ნაკლებსაზიანოა.

#### - ეკოლოგიური კომპენსაციის პრინციპი

თუ დაცული ტერიტორიების მაღალი ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნების ღირებულების არეალში ფიზიკური ცვლილებების საზიანო გავლენის თავიდან აცილება შეუძლებელია, მათ დასაბალანსებლად უნდა განხორციელდეს საკომპენსაციო კონსერვაციული ღონისძიებები.

#### - გადახდის პრინციპი

დაცულ ტერიტორიებზე ბიოლოგიურ და ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე ზიანის მიყენების თავიდან აცილების, კონტროლისა და მიყენებული ზიანის შემცირებისაკენ მიმართული მოქმედებების ხარჯები ეკისრება პასუხისმგებელ მხარეს.

#### - ეკოლოგიური მთლიანობის პრინციპი

ეკოლოგიური პროცესები, რომლებზეც დამოკიდებულია სახეობის გადარჩენა, უნდა იქნეს დაცული, ხოლო ჰაბიტატი, რომელზეც დამოკიდებულია მისი გადარჩენა – შენარჩუნებული.

#### - ეკოსისტემური მიღვომა

გათვალისწინებულ იქნას ეკოსისტემის კომპლექსურობა და ეკოსისტემის ძირითად კომპონენტებს შორის კავშირი დაცული ტერიტორიების იდენტიფიკაციის, დაგეგმვისა და მართვისას და დაცული ტერიტორიების ქსელის ჩამოყალიბებისას.

<sup>1</sup> წარმოდგენილი პრინციპები ეფუძნება “Pan-European Biological and Landscape Diversity Strategy”-ის და “საქართველოს ბიომრავალფეროვნები სტრატეგია და სამოქმედო გეგმის”, “Guiding Principles for Implementation of “Canada’s Federal Marine Protected Areas Strategy” და “NWT Protected Areas Strategy”-ის პრინციპებს.

## - აღდგენისა და რესტიტუციის პრინციპი

დაცულ ტერიტორიებზე ბიოლოგიური და ლანდშაფტური მრავალფეროვნება შეძლებისდაგვარად უნდა იქნას აღდგენილი და/ან ხელახლა შექმნილი. ეს მოიცავს საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რეაბილიტაციას და რეინტროდუქციას.

## - კანონმდებლობა

გამოყენებული იქნას არსებული კანონმდებლობა, საჭიროების შემთხვევაში შემუშავდეს ახალი კანონმდებლობა ან შესწორებები კანონმდებლობისთვის, ან სხვა რეგულირების მექანიზმები დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში.

## - მართვის ეფექტურობა

უნდა განხორციელდეს დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის შეფასება. მართვის ეფექტურობა განისაზღვრება კონკრეტული დაცული ტერიტორიისთვის შედეგების შეფასებით დასახულ მიზნებთან მიმართებაში. განხორციელდეს სხვადასხვა მიზნების შესაბამისი ინდიკატორების მონიტორინგი, რათა განისაზღვროს შესრულდა თუ არა მიზნები.

## - ადაპტური მართვა

გამოყენებულ იქნას ადაპტური მართვა, რომელიც ითვალისწინებს მართვის ეფექტურობის შეფასებიდან მიღებული შედეგების და ახალი მეცნიერული მონაცემების გამოყენებას მართვის გაუმჯობესებისთვის.

## - ბუნებრივი რესურსების ხელმისაწვდომობა, მესამე მხარის ინტერესი და კომპენსაცია

განისაზღვროს და გათვალისწინებულ იქნას ყველა ვალდებულება რომელიც დაკავშირებულია მიწისა და წყლის ხელმისაწვდომობაზე; გათვალისწინებულ იქნას და განისაზღვროს მესამე მხარის ინტერესები და კომპენსაციის საჭიროებები იმ ტერიტორიებზე რომლებიც მოიაზრება დაცულ ტერიტორიებად.

- ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინება, კონსულტაციები და ჩართულობა განისაზღვრულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელ და კერძო მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხები. პატივი ეცეს და გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის მიწასთან დაკავშირებული მეურნეობის საკითხები და ადათ-წესები. გათვალისწინებულ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნები ბუნებრივი რესურსებით სარგებლობასთან დაკავშირებით. დაცული ტერიტორიების დაარსების, დაგეგმვისა და მართვის პროცესში უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი მოსახლეობის კონსულტაციები, მათთან თანამშრომლობა და მათი ჩართულობა.

## - დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა

დაინტერესებული მხარის სრული სპექტრი ჩართულ უნდა იქნას დაცული ტერიტორიის დაგეგმვისა და შექმნის ყველა ეტაპზე, ვინაიდან დაცული ტერიტორიების და დაცული ტერიტორიების ქსელის წარმატებული ჩამოყალიბება და განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადა შესაძლებელი სხვადასხვა ინტერესების ერთად შეთანხმება.

## - ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და გაცვლა

დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იქნას დაინტერესებული მხარეთათვის, დაინტერესებული ჯგუფებისა და მოსახლეობისთვის.

## - ცოდნის, არსებული საუკეთესო ტექნოლოგიების და მეთოდების გამოყენება

გამოყენებულ იქნას არსებული ტრადიციული, ადგილობრივი, სამეცნიერო ცოდნა და არსებული საუკეთესო ტექნოლოგიები და გარემოსდაცვითი მეთოდები დაცული ტერიტორიების დაცვის, განვითარებისა და მართვის პროცესების, დაცული ტერიტორიების საზღვრების დადგენისა და

ცვლილების, დაცვის მეთოდებისა და მართვის ამოცანების შემუშავებაში. უზრუნველყოფილი იქნას ამ ცოდნისა და ტექნოლოგიების მისაწვდომობა.

**- განათლება და ცნობიერების ამაღლება**

განხორციელდეს ადგილობრივი მოსახლეობის და მთლიანად საზოგადოების ცნობიერების ამაღლება დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ საკითხებზე, რაც თავის მხრივ განაპირობებს თითოეული დაცული ტერიტორიის და დაცული ტერიტორიების სისტემის სრულფასოვან განვითარებას.

**- ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიები**

ხელი შეეწყოს ტრანსსასაზღვრო ზონაში დაცული ტერიტორიების კოორდინირებულ, თანამშრომლურ მიდგომებს.

## 2.2. სამოძღვლო ზედვა

2019 წლისთვის საქართველოში არსებობს კარგად განვითარებული დაცული ტერიტორიების ქსელი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვას და შენარჩუნებას; მას მართავს კარგად აღჭურვილი და მაღალკვალიფიციური კადრები; უზრუნველყოფილია დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობა; დაცული ტერიტორიების მართვა ხორციელდება დამტკიცებული მენეჯმენტის გეგმების საფუძველზე; საზოგადოების, განსაკუთრებით კი ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა მაღალია; არსებული კანონმდებლობა დახვეწილია და სრულდება; რატიფიცირებული კონვენციების ვალდებულებები და საერთაშორისო შეთანხმებები სრულდება; გამართულია კვლევა-მონიტორინგის სისტემა; დაცულ ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსების მართვა და მოხმარება ხორციელდება გონივრულად, მდგრადი მოხმარების პრინციპზე დაყრდნობით; საზოგადოებრივი ცნობიერება დაცული ტერიტორიების საკითხებში მაღალია.

## 2.3. მიზნები და ამოცანები

დაცული ტერიტორიების განვითარების სტრატეგია მიზნად ისახავს განახორციელოს:

1. დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება;
2. კანონმდებლობის დახვეწია;
3. დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება;
4. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა;
5. უნარების გაძლიერება;
6. კვლევა-მონიტორინგის სისტემის განვითარება;
7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა და ცნობიერების ამაღლება.

განსაზღვრული მიზნების მისაღწევად დაისახა ამოცანები, რომლებიც ეყრდნობა წინამდებარე დოკუმენტის შესავალ ნაწილში მოხსენიებული პროექტების განხორციელების პროცესში გამოვლენილ პრობლემებს.

**ცხრილი № 1. დაცული ტერიტორიების სისტემაში გამოვლენილ პრობლემების ჩამონათვალი და მათგან გამომდინარე მიზნები და ამოცანები**

არსებული პრობლემები	მიზნები	ამოცანები
1.ა. დაცული ტერიტორიების კორდინირებული მუშაობისა და ერთიანი სამოქმედო გეგმის არარსებობა	1. დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება	1.1 დაცული ტერიტორიების ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება
1.ბ დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის თანამედროვე სისტემის არარსებობა		1.2 დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოყალიბება
1.გ დაცული ტერიტორიების არასაკმარისი რაოდენობა		1.3 ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება
1.დ ზოგიერთი დაცული ტერიტორიის არაეფუქტურობა ფართობის სიმცირის გამო		1.4 არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოება
1.ე დაცული ტერიტორიების გლობალური კატეგორიების ნაკლებობა		1.5 დაცული ტერიტორიების გლობალური კატერგორიების დაარსება
1.ვ დაცული ტერიტორიების არასრულყოფილი მონაცემთა ბაზა		1.6 მონაცემთა ბაზის სრულყოფა
2.ა არსებული საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება	2. კანონმდებლობის დახვეწია	2.1 არსებული საკანონმდებლო ბაზის დახვეწია
2.ბ საერთაშორისო კონვენციებსა და შეთანხმებების ვალდებულებების შესრულებისას ხარვეზების არსებობა/შეუსრულებლობა		2.2 კონვენციების და სხვა საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების გათვალისწინება დაცული ტერიტორიების სფეროში
3.ა მენეჯმენტის გეგმების შექმნის სახელმძღვანელო დოკუმენტის არარსებობა	3. დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება	3.1 მენეჯმენტის გეგმების სახელმძღვანელოს შემუშავება
3.ბ მენეჯმენტის გეგმების არარსებობა		3.2 ყველა დაცული

<p>3.გ დაცული ტერიტორიების არაეფექტური მართვა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>i. ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვება</li> <li>ii. ბრაკონიერობა</li> </ul> <p>3.დ დაცული ტერიტორიებზე აგრობიომრავალფეროვნების კონსერვაციისკენ მიმართული ღონისძიებების სიმცირე</p>		<p>ტერიტორიისათვის მენეჯმენტის გეგმების მომზადება და დამტკიცება</p> <p>3.3 დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესება</p> <p>3.4 დაცულ ტერიტორიებზე სახეობათა კონსერვაციის გაუმჯობესება</p> <p>3.5 ინფრასტრუქტურის განვითარება</p> <p>3.6. ინსტრიტუციურ- ორგანიზაციული მოწყობის სრულყოფა</p>
<p>4.ა არასაკმარისი დაფინანსება</p> <ul style="list-style-type: none"> <li>i. სახელმწიფო დაფინანსების სიმცირე</li> <li>ii. კერძო ინტერესის არ არსებობა (კერძო სტრუქტურებისა და საზოგადოების მხრიდან)</li> <li>iii. დონორებთან ურთიერთობის არასაკმარისი გამოცდილება</li> <li>iv. საქაუთარი შემოსავლების სიმცირე</li> </ul>	<p>4. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა</p>	<p>4.1 დაფინანსების მდგრადობის უზრუნველყოფა</p>
<p>5.ა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა</p> <p>5.ბ დაცული ტერიტორიების დაცვის სამსახურის არასრულყოფილება</p> <p>5.გ კადრების სიმცირე (ბიუჯეტის დეფიციტი)</p> <p>5.დ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებისთვის დაფინანსების სიმცირე</p> <p>5.ე დაცული ტერიტორიების არასრულყოფილი მატერიალურ- ტექნიკური ბაზა</p>	<p>5. შესაძლებლობების გაძლიერება/განვითარება</p>	<p>5.1 კადრების კვალიფიკაციის ამაღლება</p> <p>5.2 დაცული ტერიტორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება</p>
<p>6.ა კვლევების სიმცირე, მათი არასისტემატურობა(პერიოდულობა) და არაკონდინირებულობა</p> <p>6.ბ მონიტორინგის სისტემის არარსებობა</p>	<p>6. კვლევა-მონიტორინგის სისტემის განვითარება</p>	<p>6.1 კვლევების ხელშეწყობა და კოორდინირება</p> <p>6.2 მონიტორინგის სისტემის განვითარება და განხორციელება</p>
<p>7.ა დანატერესებულ მხარეთა შორის სუსტი თანამშრომლობა და მათი კოორდინირების არაეფექტურობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>i. ინსტიტუციურ/უწყებათაშორისი</li> <li>ii. ორგანიზაციათაშორისი</li> <li>iii. საერთაშორისო</li> <li>iv. ტრანსსასაზღვრო</li> </ul>	<p>7. დანატერესებული მხარების ჩართვა და ცნობიერების ამაღლება</p>	<p>7.1 დანატერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობისა და კოორდინირების გაძლიერება</p>
<p>7.ბ ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობის არაეფექტურობა</p> <ul style="list-style-type: none"> <li>i. ინტერესთა კონფლიქტი ადგილობრივ მოსახლეობასა და დაცულ ტერიტორიებს შორის</li> <li>ii. მიწის საკუთრებისა და მიწათარებლობის საკითხების გაურკვევლობა</li> <li>iii. გადაწყვეტილებათა მიღებაში მოსახლეობის ჩართულობის ნაკლებობა</li> </ul>	<p>7.2 ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობის გაძლიერება</p> <p>7.3 მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დაცული ტერიტორიების ფუნქციებასა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საჭიროებებში</p>	
<p>7.გ მოსახლეობის დაბალი ცნობიერება დაცული ტერიტორიების ფუნქციებსა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საჭიროებებში</p>		

### 3. დაცული ტერიტორიების ეროვნული სამოქმედო გეგმა 2009-2014

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა შემუშავდა IUCN POSC-ის მიერ “საქართველოს განვითარების სტრატეგია და ეროვნული სამოქმედო გეგმის” სამუშაო ვერსიის და WWF-ის მიერ “საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესაძლებლობების განვითარების სამოქმედო გეგმის” შემუშავებულ ღოკუმენტებზე დაყრდნობით.

დაცული ტერიტორიების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას მხედველობაში იქნა მიღებული საქართველოს მიერ საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებები. ამისათვის გამოყენებულ იქნა TEMATEA<sup>2</sup>-ას დაცული ტერიტორიების მოდული, რომელიც მოიცავს დაცული ტერიტორიებთან მიმართებაში არსებულ ყველა ვალდებულებას შემდეგი კონვენციებიდან: კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD), კონვენცია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (WHC), გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (UNCCD), კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES), რამსარის კონვენცია საერთაშორისო ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადო ვარგისი, ტერიტორიების შესახებ, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენცია (UNFCCC), კონვენცია გარეული ცხოველების მიგრირებად სახეობათა დაცვის შესახებ (CMS). ეროვნული სამოქმედო გეგმის დასახვისას მოხდა გეგმის თითოეული ქმედების დაკავშირება შესაბამისი კონვენციის ვალდებულებასთან.

2009-2014 წლისათვის დაცული ტერიტორიების სამოქმედო გეგმა წარმოდგენილია ცხრილის სახით. ცხრილში, თითოეული მიზნისათვის მოცემულია

- ამოცანა - შემუშავებული არსებული პრობლემის გადასაჭრელად;
- ქმედება – დასახული ამოცანების მისაღწევად;
- არსებული პრობლემები – სამოქმედო გეგმაში ჩამოთვლილი პრობლემები შეესაბამება ცხრილ №1-ში ასახულ პრობლემათა რიგობრივ ნომრებს.
- განხორციელების წლები – ქმედების განხორციელების რეკომენდირებული ვადა 2009-2014 პერიოდში;
- პრიოროტეტულობა – საშუალო და მაღალი;
- საჭირო რესურსები – ამ კატეგორიში თვითეული ქმედებისათვის გამოთვლილ იქნა სავარაუდო ბიუჯეტი, რომელიც გამოსახულია აშშ დოლარში, ან მითითებულია რაიმე სხვა საჭირო რესურსი (მაგ, ადამიანური, ტექნიკური, გრანტი).
- კონვენციებთან შესაბამისობა – კონვენციები, რომლის შეარეც არის საქართველო და რომლის ვალდებულებებიც დაკავშირებულია დაცული ტერიტორიების განვითარებასთან. სამოქმედო გეგმაში ასახული მოქმედებები შეესაბამება ხუთი კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ესენია კონვენცია ბიომრავალფეროვნები შესახებ (CBD) (1), რამსარის კონვენცია (2), კონვენცია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის შესახებ (WHC) (3), გაეროს კონვენცია გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (UNCCD) (4) და კონვენცია გადაშენების პირას მყოფი ველური ფაუნისა და ფლორის საერთაოშორისო ვაჭრობის შესახებ (CITES) (5).

<sup>2</sup> TEMATEA არის სხვადასხვა თემაზე დაფუძნებული მოდული (ესენია: ბიომრავალფეროვნება და კლიმატის ცვლილება, დაცული ტერიტორიები, მდგრადი განვითარება, ინვაზიური სახეობები და ა.შ.), რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის თემებთან მიმართებაში კონვენციებს შორის ჰარმონიზებულ მუშაობს. კერძოდ კი, TEMATEA-ს ფარგლებში ტარდება სხვადასხვა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისი თემების ქვეშ თავმოყრა. რაც აადვილებს ქვეყნის მიერ საერთაშორისო კონვენციების ფარგლებში ადგებული ვალდებულებების ინვენტარიზაციას, ხარვეზების გამოვლენას და რეკომენდაციების შემუშავებას დაინტერესებული მხარეთათვის. თანხვედრები დაცული ტერიტორიების ეროვნულ სამოქმედო გეგმასა და TEMATEA-ს ფარგლებში (დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში ბიომრავალფეროვნების სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულების ანალიზი საქართველოს დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესებისათვის) შემუშავებულ რეკომენდაციებს შორის მოცემულია დანართ 2-ში.

- CBD-ის დაცული ტერიტორიების სამუშაო პროგრამის (CBD PoW on PAs) აქტივობებთან შესაბამისობა;
- ინდიკატორი – მოსალოდნელი შედეგი თითოეული მოქმედებისთვის, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შეფასდეს განხორციელების წარმატებულობა.

# ეროვნული სამოქმედო გეგმა – 2009-2014

მიზანი: 1. დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება

ამოცანა	ქვეება	პრობლემა	დროის შეაღები		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
1.1. დაცული ტერიტორიების ერთანი სამოქმედო გეგმის შემუშავება	1.1.1. GAP ანალიზი (განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაცული ტერიტორიების ქსელის შეფასებას მცნარეთა კონსერვაციის ეფექტურობის გუთხით, გამოყენებულ იქნას IUCN-ის მცნარეთა რეგიონული წითელი ნუსხის პროექტის და IUCN-ის კაგასიის მცნარეებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების პროექტის შედეგები)	1.ა	2010	2014	მაღალი 5,4	500,000	1	1.1.5	სრული მონაცემები არსებული სიტუაციის შესახებ
	1.1.2. სარეზერვო დაცული ტერიტორიების ქსელის დაგეგმვა, კატეგორიების განსაზღვრა და დაარსება. უბნების პრიორიტეტისას კრიტიკული უბნების ქსელის ინსტრუმენტის და სხვა მეთოდების გამოყენებით	1.ა	2010	2011	მაღალი 5,8	100,000	1	1.1.5	დამტკიცებულია მიავრობის მიერ სარეზერვო დაცული ტერიტორიების ქსელის გაგმა
1.2. დაცული ტერიტორიების ერთანი ქსელის ჩამოყალიბება	1.2.1. ეკოლოგიური კორიდორების სისტემის შექმნა (დაგეგმარება)	1.ბ	2011	2014	საშუალო 4,3	100,000	1	1.2.4	შექმნილია და დამტკიცებულია ეკოლოგიური კორიდორების სისტემა
1.3. ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება	1.3.1. პოტენციური ბუნების ძეგლების გამოვლენა და სიის შემუშავება დასამტკიცებლად	1.ბ	2009	2010	მაღალი 5,0	50,000	1	-	შედგენილია და დამტკიცებულია კანდიდატი ბუნების ძეგლების ნუსხა, შექმნილია მენეჯმენტის გეგმები
	1.3.2. ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების შექმნა	1.ბ	2009	2010	მაღალი 5,6	6,500,000	1	1.1.2 1.1.6 1.1.7	მიღებულია კანონი ცენტრალურ კავკასიონზე დაცული ტერიტორიების დაარსების შესახებ; შემუშავებულია მენეჯმენტის გეგმა

**მიზანი: 1. დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
1.3. ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება	1.3.3. მაჭახელას ხეობის დაცული ტერიტორიების დაარსება	1.3	2010	2011	საშუალო 4,2	2,000,000	1	1.1.2 1.1.6 1.1.7	მიღებულია კანონი მაჭახელას ხეობის დაცული ტერიტორიის დაარსების შესახებ; შემუშავებულია მეწარმენტის გეგმა
	1.3.4. ერუშეთის დაცული ტერიტორიების დაარსება	1.3	2010	2011	საშუალო 4,0	1,000,000	1	1.1.2 1.1.6 1.1.7	მიღებულია კანონი ერუშეთის დაცული ტერიტორიის დაარსების შესახებ; შემუშავებულია მეწარმენტის გეგმა
	1.3.5. ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიების დაარსება	1.3	2010	2011	საშუალო 4,0	2-3,000,000	1	1.1.2 1.1.6 1.1.7	მიღებულია კანონი ფშავ- ხევსურეთის დაცული ტერიტორიის დაარსების შესახებ; შემუშავებულია მეწარმენტის გეგმა
	1.3.6. ჯავახეთის დაცული ტერიტორიების დაარსება; მოიცავს ჯავახეთი-არაიის ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიის შექმნას	1.3	2009	2011	საშუალო 4,9	3,131,505	1 და 2	1.1.2 1.1.6 1.1.7 1.3.3	მიღებულია კანონი ჯავახეთის დაცული ტერიტორიის დაარსების შესახებ; შემუშავებულია მეწარმენტის გეგმა;
	1.3.7. ლაგოდეხი-ბელექანის ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიის შექმნა	1.3	2010	2011	საშუალო 4,5	500,000	1	1.3.3	მიღებულია ოფიციალური შეთანხმება ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიის დაარსების შესახებ შესაბამის მეზობელ სახელმწიფოსთან

**მიზანი: 1. დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
<b>1.3. ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება</b>	1.3.9. ერუშეთი-პოსოვის ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიის შექმნა	1.8	2011	2012	საშუალო 3,7	400,000	1	1.3.3	მიღებულია ოფიციალური შეთანხმება ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიის დაარსების შესახებ შესაბამის მეზობელ სახელმწიფოსთან
	1.3.10. მაჭახელა-ჯამილის ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიის შექმნა	1.8	2011	2012	საშუალო 3,5	400,000	1	1.3.3	მიღებულია ოფიციალური შეთანხმება ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიის დაარსების შესახებ შესაბამის მეზობელ სახელმწიფოსთან
<b>1.4. არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოება</b>	1.4.1. მარიამჯვარის აღგვეთილის ტერიტორიის გაფართოება	1.8	2010	2010	საშუალო 4,6	ბიუჯეტი in kind	1	1.1.2	დამტკიცებულია მარიამჯვარის გაფართოებული ტერიტორიის ფარგლები და გადაცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებაში
	1.4.2. ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების გაფართოება	1.8	2011	2011	საშუალო 4,1	ბიუჯეტი in kind	1	1.1.2	დამტკიცებულია ბორჯომ- ხარაგაულის დაცული ტერიტორიების გაფართოებული ტერიტორიის ფარგლები და გადაცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებაში

**მიზანი: 1. დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი	პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)	
1.4. არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოება	1.4.3. ჭაჭუნას აღკვეთილის ტერიტორიის გაფართოება	1.დ	2012	2012	საშუალო 4,3	ბიუჯეტი in kind	1	1.1.2	დამტკიცებულია ჭაჭუნას აღკვეთილის გაფართოებული ტერიტორიის ფარგლები და გადაცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებაში
	1.4.4. თუშეთის დაცული ტერიტორიების ზონირების საკონტინუაციო გადაწყვეტა	1.დ	2009	2010	საშუალო 4,7	ბიუჯეტი in kind	1	-	დადგენილია თუშეთის დაცული ტერიტორიების ზონირება
	1.4.5. საზღვრის გამიჯვნა და დემარკაცია (აღგეთის ეროვნული პარკი, თბილისის ეროვნული პარკი, ბორჯომის ეროვნული პარკი, ყაზბეგის ეროვნული პარკი, გარდაბნის, ნეძვის, ქინტრიშისა და ორჩის აღკვეთილები)	1.დ	2009	2011	მაღალი 5,5	1,851,682	1	მიზანი 1.4	დადგენილია და კანონით დამტკიცებულია დაცული ტერიტორიების საზღვრები და დამტკიცებულია კანონით
	1.4.6. ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების მიწის ფართობების მიღება	1.დ	2010	2011	საშუალო 4,4	ბიუჯეტი in kind	1	1.1.2 1.1.6 1.1.7	დადგენილია ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების ფართობები და გადაცემულია დაცული ტერიტორიების სააგენტოს დაქვემდებარებაში

**მიზანი: 1. დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შეაღები	პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ძირიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
1.5. დაცული ტერიტორიების გლობალური კატეგორიების დაარსება	1.5.1. ბიოსფერული რეზერვატორიების დაგვემარება ყაზბეგში	1.ဂ	2009 2012	საშუალო 4,7	227,324 გრანტი	1	-	მთავრობის მიერ დამტკიცებულია ბიოსფერული რეზერვატორიების გეგმა
	1.5.2. მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების (ბუნებრივი და მერეული უბნების) გამოვლენა და დასამტკიცებლად წარდგენა	1.ဂ	2010 2013	საშუალო 4,1	150,000	3	-	UNESCO-ში დასამტკიცებლად წარდგენილია მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების სია
	1.5.3. ჯავახეთის ჭარბტენიანი ტერიტორიების რამსარის კონვენციის სიაში შეყვანა	1.გ	2010 2011	საშუალო 4,7	50,000	2	-	ჯავახეთის ჭარბტენიანი ტერიტორიები შეტანილია რამსარის ნუსხაში
1.6. მონაცემთა ბაზის სრულყოფა	1.6.1. დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზის სრულყოფა (მათ შორის დაცული ტერიტორიების მართვის მეთოდების ბაზა)	1.3	2009 2013	მაღალი 5,5	ბიუჯეტი in kind	1	4.3.3.	შექმნილია სრულყოფილი მონაცემთა ბაზა დაცული ტერიტორიების შესახებ

მიზანი: 2. კანონმდებლობის დაწვერა									
ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
2.1. არსებული საკონონმდებლო ბაზის დაწვერა	2.1.1. არსებული კანონმდებლობის ინკონტარიზაცია, ანალიზი, შედეგების ღონისძიებისა და შესაბამისი შესწორებათა პაკეტის მომზადება	2.ა	2009	2010	მაღალი 5,5	670,000	1	3.1.1	შეტანილია შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში
	2.1.2. სამუშაო ჯგუფის შექმნა არსებული კანონმდებლობის ინკონტარიზაციის, ანალიზისა და შესწორებათა პაკეტის მოსამზადებლად	2.ა	2010	2010	მაღალი 5,5	ადამიანური რესურსი	-	-	შექმნილია სამუშაო ჯგუფი არსებული კანონმდებლობის ინკონტარიზაციის, ანალიზისა და შესაბამისი კანონთა პაკეტის შესადგენად
	2.1.3. კატეგორიებისა და ზონების მიხედვით დასაშვები და აკრძალული მოქმედებების განსაზღვრა კანონმდებლობით ჩარჩო კანონში	2.ა	2010	2011	მაღალი 6,0	50,000	1 და 2	3.1.1 3.1.7	მთავრობის მიერ დამტკიცებულია კატეგორიებისა და ზონების მიხედვით დასაშვები და აკრძალული მოქმედებები ჩარჩო კანონში
	2.1.4. დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული საქმიანობის განხორციელების წესის და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესახებ დებულების მომზადება	2.ა	2010	2011	მაღალი 5,5	ადამიანური რესურსი	1 და 2	3.1.1. 3.1.7	შემუშავებულია დებულება დაცულ ტერიტორიაზე დაშვებული საქმიანობის წესისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის შესახებ
	2.1.5. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადება	2.ა	2009	2012	მაღალი 5,1	ბიუჯეტი in kind	1	3.1.1 3.1.7	დამტკიცებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები

**მიზანი: 2. კონვენციებლობის დაწესება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი	პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
2.1 არსებული საკონვენციებლო ბაზის დაწესება	2.1.6. ცენტრალური კავკასიონის დაცული ტერიტორიების კანონის მიღება	2.ა	2009	2012	მაღალი 5,0	ბიუჯეტი in kind	1	3.1.7
	2.1.7. თურქეთის რესპუბლიკასთან ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიის პროექტის შემუშავება და ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადება	2.ა	2009	2011	მაღალი 5,0	100,000	1	3.1.11
	2.1.8. აღგეთის, ფაზბეგის, მარიამჯგარისა და იმერეთის მღვამეთა ტერიტორიების მიღება- ჩაბარება	2.ა	2009	2010	მაღალი 5,6	ბიუჯეტი in kind	1	1.1.2 1.1.6 1.1.7
2.2. კონვენციების და საერთაშორისო შეთანხმებების მოთხოვნების გათვალისწინება დაცული ტერიტორიების სფეროში	2.2.1. არსებულ საერთაშორისო კონვენციების მიმართებაში არსებული ხარვეზების შეფასება/ანალიზი და ბარიერების გამოვლენა	2.ბ	2011	2012	საშუალო 4,4	50,000	1	-
	2.2.2. საერთაშორისო კონვენციების მიმართებაში არსებული ბარიერების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება	2.ბ	2011	2012	საშუალო 4,4	50,000	1	-

**მიზანი: 3. დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შეაღები		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
<b>3.1 მენეჯმენტის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება</b>	3.1.1. მენეჯმენტის გეგმების შექმნის სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა IUCN/WCPA-ის დაცული ტერიტორიების საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით და ოურიდიული ძალის მინიჭება	3.ა	2009	2010	მაღალი 5,1	50,000	1	3.2.2	მთავრობის მიერ დამტკიცებულია მენეჯმენტის გეგმების შექმნის სახელმძღვანელო დოკუმენტი
	3.1.2. ტურიზმის მენეჯმენტის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა	3.ა	2010	2011	მაღალი 5,1	50,000	1	3.2.2	მთავრობის მიერ დამტკიცებულია მენეჯმენტის გეგმების შექმნის სახელმძღვანელო დოკუმენტი
	3.1.3. დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და დიზაინის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება	3.ა	2010	2011	მაღალი 5,1	50,000	1	3.2.2	მთავრობის მიერ დამტკიცებულია ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და დიზაინის სახელმძღვანელო დოკუმენტი
<b>3.2 ყველა დაცული ტერიტორიისთვის მენეჯმენტის გეგმების მომზადება</b>	3.2.1. ყაზბეგის ეროვნული პარკისთვის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება	3.ბ	2010	2011	მაღალი 5,6	50,000	1	1.4.4	დამტკიცებულია ყაზბეგის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა
	3.2.2. ალგეთის ეროვნული პარკისთვის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება	3.ბ	2010	2011	მაღალი 5,3	50,000	1	1.4.4	დამტკიცებულია ალგეთის ეროვნული პარკის მენეჯმენტის გეგმა
	3.2.3. კინტრიშის დაცული ტერიტორიებისთვის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება	3.ბ	2010	2011	საშუალო 4,8	50,000	1	1.4.4	დამტკიცებულია კინტრიშის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა

**მიზანი: 3. დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შეაღები		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
<b>3.2 ყველა დაცული ტერიტორიისთვის მენეჯმენტის გაგმების მომზადება</b>	3.2.4. მარიამჯვარის ნაკრძალისთვის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება	3.ბ	2010	2011	საშუალო 4,5	10,000	1	1.4.4	დამტკიცებულია მარიამჯვარის ნაკრძალის მენეჯმენტის გეგმა
	3.2.5. იმერეთის მღვიმეების ბუნების ძეგლებისთვის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება	3.ბ	2010	2011	საშუალო 4,9	10,000	1	1.4.4	დამტკიცებულია იმერეთის მღვიმეების ბუნების ძეგლების მენეჯმენტის გეგმა
	3.2.6. აღკვეთილებისათვის მენეჯმენტის გეგმის შემუშავება (ბაგაჯამთი, გარდაბანი, ნეფი, თეთრობი და სხვა)	3.ბ	2010	2011	საშუალო 4,2	100,000	1	1.4.4	დამტკიცებულია მენეჯმენტის გეგმები აღკვეთილებისათვის
	3.2.7. იორის აღკვეთილის ტყითსარგებლობის გეგმის შედგენა (მენეჯმენტის გეგმა)	3.ბ	2009	2009	საშუალო 4,9	10,000	1	1.4.4	შემუშავებულია და დამტკიცებულია იორის აღკვეთილის ტყითსარგებლობის მენეჯმენტის გეგმა
<b>3.3. დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების მართვის გაუმჯობესება</b>	3.3.1. ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება (მაგ. დაცული ტერიტორიების ფარგლებში საძოვრების და ტყეების ინვენტარიზაცია, მენეჯმენტის გეგმების შემუშავება/დახვეწა და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის პროგრამების შემუშავება)	3.ბ	2010	2014	მაღალი 5,0	500,000	1	-	დამტკიცებულია დაცულ ტერიტორიებზე ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმები
	3.3.2. კრიტიკულად საფრთხის წინაშე მყოფი იშვიათი, ენდემური და რელიქტური სახეობების მართვის გეგმების შემუშავება და განხორციელება	3.ბ	2010	2014	მაღალი 5,0	500,000	1	-	დამტკიცებულია კრიტიკულად საფრთხის წინაშე მყოფი, ენდემური და რელიქტური სახეობების მართვის გეგმები
	3.3.3. ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაავადებათა კონტროლის სტრატეგიისა და მენეჯმენტის შემუშავება დაცული ტერიტორიების ფარგლებში	3.ბ	2010	2012	საშუალო 4,4	500,000	1	1.5.5	დამტკიცებულია ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაავადებათა კონტროლის სტრატეგიისა და მენეჯმენტის გეგმა დაცული ტერიტორიების ფარგლებში

**მიზანი: 3. დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი	პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
3.4 დაცულ ტერიტორიებზე სახეობათა კონსერვაციის გაუმჯობესება	3.4.1. კოლხური ტყეების აღდგენა და მოვლა	3.გ	2009 2014	მაღალი 5.9	8,883,350	1	1.2.5	დაწყებულია კოლხეთის ტყის განაშენიანება
	3.4.2. ზუთხის პოპულაციის აღდგენის პროგრამა	3.გ	2010 2014	მაღალი 5.2	8,883,350	1	-	ზუთხის პოპულაციის მდგომარეობა გაუმჯობესებულია
	3.4.3. ხოხობის პოპულაციის აღდგენის პროგრამა	3.გ	2010 2014	მაღალი 5.6	8,883,350	1	-	ხოხობის პოპულაციის მდგომარეობა გაუმჯობესებულია
	3.4.4. ყორუდის აღკვეთილში კოლხური ხოხობის და გარეული ღორის გამრავლება	3.გ	2010 2011	მაღალი 5,1	300,000	1	-	ყორუდის აღკვეთილში გაუმჯობესებულია ტრადიციული და ენდემური სახეობების - გარეული ღორისა და კოლხური ხოხობის მდგომარეობა
	3.4.5. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სანერგიის მოწყობა (20 ჰა)	3.გ	2009 2014	მაღალი 5.4	8,883,350	1	-	კოლხეთის ეროვნულ პარკი 20 ჰა-ზე მოწყობილია სანერგიი; დაწყებულია კოლხეთის ტყის განაშენიანება

**მიზანი: 3. დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შეაღები	პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
3.5. ინფრასტრუქტურის განვითარება	3.5.1. აღგეთილის ტერიტორიაზე სამონადირეო სახლის, სამცველოების, ფაცხისა და სხვა ინფრასტრუქტურის მშენებლობა (საპირისპირ, საცეცხლე და სხვა ადგილები)	3.8	2009	2009	მაღალი 5,1	800,000	-	-
	3.5.2. თბილისის ეროვნული პარკის ინფრასტრუქტურის დაპროექტება	3.8	2009	2009	მაღალი 5,6	US DoI ITAP გრანტი	-	-
	3.5.3. აჯამეთის, ალგეთის, კინტრიშის, გარდაბნის, ყაზბეგის და მარიმჯვრის დაცულ ტერიტორიებზე ინფრასტრუქტურის დაგეგმვა	3.8	2009	2014	მაღალი 5,6	100,000	-	-
	3.5.4. იმერეთის ძღვიმეთა კომპლექსის ინფრასტრუქტურის დაგეგმვა	3.8	2009	2010	მაღალი 5,6	100,000	-	-
	3.5.5. კოლხეთის და ქობულეთის დაცული ტერიტორიების დაცვის და ინფრასტრუქტურის პროგრამა	3.8	2009	2014	მაღალი 5,4	8,883,350	-	-

**მიზანი: 3. დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შეაღები		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
3.6. ინსტიტუციურ-ორგანიზაციული მოწყობის სრულყოფა	3.6.1. მენეჯემენტის პოლიტიკის შემუშავება	3.8	2010	2011	მაღალი 5.5	ადამიანური რესურსი	1	1.4.6.	შემუშავებულია პოლიტიკა; გაუმჯობესებულია მენეჯენტი
	3.6.2. გრძელვადიანი (3წლიანი), სამუშაო (1წლიანი) და მოკლე ვადიანი (კვარტალური) სამუშაო გეგმების შედგენა უწყების, ქვედანაყოფების და ინდივიდუალურ დონეზე შესრულების ინდიკატორებით	3.8	2009	2014	მაღალი 5.5	ადამიანური რესურსი	1	1.4.6.	შედგენილია შესაბამისი გეგმები და უზრუნველყოფილია ორგანიზაციის ეფექტური მუშაობა
	3.6.3. დაცული ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების შეფასებისა და მონიტორინგის სისტემის შექმნა / შესაბამისი მეთოდიკის შექმნა და დანერგვა	3.8	2010	2014	მაღალი 5.0	ადამიანური რესურსი და 50,000	1	1.4.6. 4.2.1	თვითშეფასების სისტემა შემუშავებული და დანერგილია; გაუმჯობესებულია მენეჯენტი და ორგანოს ფუნქციონირება
	3.6.4. სრულფასოვანი სამუშაო აღწერილობებისა და საცალიფიკაციო მოთხოვნების შექმნა	3.8	2009	2010	მაღალი 5.5	ადამიანური რესურსი	1	1.4.6.	არსებობს სრულყოფილი აღწერილობები და ამის საფუძვლზე განსაზღვრულია შესაბამისი დომატებითი კვალიფიკაციების საჭიროებები

**მიზანი: 4. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
4.1. დაფინანსების მდგრადობის უზრუნველყოფა	4.1.1. მიზნობრივი პროგრამების შემუშავება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გაზრდის მიზნით	4.a.i	2009	2014	მაღალი 5,0	50,000	1	3.4.6	გაზრდილია დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან
	4.1.2. დონორების დაინტერესებისა და მოზიდვის მექანიზმების შემუშავება: პროგრამისა და სტრატეგიის შემუშავება, ტრეინინგები, ადამიანური რესურსები	4..a.iii	2009	2014	მაღალი 5,5	50,000	1	3.4.4	გაზრდილია დაფინანსება დონორთა მხრიდან
	4.1.3. დაცული ტერიტორიების უკავშირისტული პოტენციალის გაზრდა – ინფრასტრუქტურის, მარეტინგის (ეროვნული და საერთაშორისო), სერვისების საწყების და მომსახურების ხარისხის გაზრდა	4.a.ii	2009	2014	მაღალი 5,5	178,600	1	3.2.5 3.1.10	საკუთარი შემოსავლების ხარჯზე გაუმჯობესებული ფინანსური მდგომარეობა
	4.1.4. ბეჭდვითი მასალების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები – შეფასება, სტრატეგიის შემუშავება, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება, განხორციელება	4.a.i	2010	2012	საშუალო 4,6	100,000	1	3.1.9	შექმნილია ბეჭდვითი მასალების რეალიზაციის ინფრასტრუქტურა და გაზრდილია ფინანსური შემოსავლები ამ საქმიანობით
	4.1.5. დაცულ ტერიტორიებზე (დაცული ტერიტორიების საენტოს მიერ) სამონადირეო მუერნების წარმართვის შესაძლებლობების განსაზღვრა/შეფასება	4.a.i	2009	2010	საშუალო 3,3	20,000	1	3.1.9	შეფასებულია სამონადირეო მუერნების განვითარების გზით შემოსავლების ზრდა და ფინანსური მდგრადობა
	4.1.6. დაცული ტერიტორიების მხარდამჭერთა კლუბების შექმნა და მარკეტინგი	4.a.i; 4.a.ii; 4.a.iii	2009	2012	საშუალო 4,0	100,000	1	3.1.9	მხარდამჭერთა კლუბებში გაერთიანებული არიან მნიშვნელოვანი კომპანიები

მიზანი: 4. ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა									
ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
4.1. დაფინანსების მდგრადობის უზრუნველყოფა	4.1.7. კერძო სექტორისთვის დაცულ ტერიტორიებში რეკლამის განთავსების შესაძლებლობების შესწავლა-განხორციელება	4.a.ii	2009	2010	საშუალო 4,4	20,000	1 და 4	3.1.9	გამოვლენილია კერძო სექტორისათვის დაცულ ტერიტორიებში რეკლამის განთავსების შესაძლებლობა
	4.1.8. მართვის უფლების გადაცემის (კონცესია) წესების დადგნანა (სასტუროები, სახოგადოებრივი კვების ობიექტები, საკონფერენციო და სხვა ინფრასტრუქტურა)	4.a.i	2009	2009	საშუალო 4,9	20,000	1	3.1.9	საკუთარი შემოსავლების ხარჯზე გაზრდილია დაცული ტერიტორიების ფინანსური მდგრადობა
	4.1.9. დონორებისათვის გამოყვნის/ინფორმაციული შეხვედრის მოწყობა მათთვის სააგენტოს მიმღინარე და სამომავლო საქმიანობის გაცნობის მიზნით	4.a.iii	2009	2014	მაღალი 5,5	4.1.3.	1	3.4.4.	გაზრდილია ინტერესი და დაფინანსება დონორთა მხრიდან
	4.1.10. კავებასის დაცული ტერიტორიების ფონდიან მჭიდრო თანამშრომლობით პროგრამების შემუშავება	4.a.iii	2009	2014	მაღალი 5,5	ბიუჯეტი in kind	1	3.4.4.	შემუშავებულია და ტარდება ერთობლივი პროგრამები კავებასის დაცული ტერიტორიების ფონდიან ერთად

**მიზანი: 5. შესაძლებლობების გაძლიერება/განვითარება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
5.1. კაღრების კვალიფიკაციის ამაღლება	5.1.1. თანამშრომლების ტრეინინგის საჭიროებების შეფასება/გამოვლენა	5.ა; 5.ბ; 5.გ	2009	2014	მაღალი 5,8	10,000	2	3.2.1.	გამოვლენილია თანამშრომელთათვის საჭირო ტრეინინგების ჩატარების აუცილებლობა
	5.1.2. შესაბამისი წავლების პროგრამების განხორციელება (მოდულების და სახლმდღვნელოების შექმნა, ტრენინგების ტრეინინგის პროგრამის შემუშავება) – რეინჯერებისთვის, ბუნებრივი რესურსების მართვის, ეკო- განათლებისა და ვიზიტორთა სამსახურის სპეციალისტებისთვის	5.ა; 5.ბ; 5.გ	2009	2014	მაღალი 5,1	30,000	1 და 2	3.2.1	გატარებული სწავლების პროგრამების შედეგად ამაღლებულია კადრების კვალიფიკაცია
	5.1.3. სახსრების მოზიდვის (fund raising) საპროექტო წინადადებების მომზადებასა და განხორციელების უნარების გაძლიერება	5.ა; 5.ბ; 5.გ	2010	2012	მაღალი 5,3	30,000	-	-	გაუმჯობესებულია თანამშრომელთა უნარი ფინანსების მოზიდვაში
	5.1.4. თანამშრომელთათვის უცხო ენის სწავლების ხელშეწყობა	5.ა; 5.ბ; 5.გ	2009	2012	მაღალი 5,3	30,000	-	-	გაუმჯობესებულია თანამშრომელთა უნარი საერთაშორისო ურთიერთობებში და ფინანსების მოზიდვაში
	5.1.5. სააგენტოს თანამშრომელთათვის თითოეული დაცული ტერიტორიის საქმიანობის გაცნობა – საველე გასვლები, სხდომების, თაობირების ჩატარება დაცული ტერიტორიების აღმინისტრაციებში	5.ა; 5.ბ; 5.გ	2009	2014	საშუალო 4,9	25,000	1	3.2.4.	გაზრდილია დაცული ტერიტორიების მართვის სარისხი
	5.1.6. დაცულ ტერიტორიებს შორის მართვის გამოცდილების გაზიარება	5.ა; 5.ბ; 5.გ	2009	2014	მაღალი 5,6	25,000	1	3.5.4. 4.1.1.	გაზრდილია გამოცდილება და ფინანსების მოზიდვის უნარი
	5.1.7. სასწავლო ტურების ორგანიზება ქვეყნის ფარგლებს გარეთ სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების მიზნით	5.ა; 5.ბ; 5.გ	2009	2014	მაღალი 5,6	100,000	1	3.2.3.	გაზრდილია გამოცდილება და ფინანსების მოზიდვის უნარი

**მიზანი: 5. შესაძლებლობების გაძლიერება/განვითარება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
<b>5.2. დაცული ტერიტორიების მატერიალურ- ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება</b>	5.2.1 ყველა დაცული ტერიტორიისთვის ძირითადი აღმინისტრაციული საჭიროებების განსაზღვრა	5.0	2009	2014	მაღალი 5,9	ადამიანური რესურსი	1	1.4.6.	გამოვლენილია ყველა დაცული ტერიტორიისთვის აუცილებელი ტექნიკურ- მატერიალური საჭიროება
	5.2.2. რეინჯერების მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვის სრულყოფა – უნიფორმა, საველე და სამაშველე ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები	5.0	2009	2014	მაღალი 5,9	2,000,000	1	1.4.6.	გაუმჯობესებულია რეინჯერების საქმიანობა
	5.2.3. კველვისა და მონიტორინგის საშახურების მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვა – ლაბორატორია, საველე აღჭურვილობა, ბიბლიოთეკება	5.0	2009	2014	მაღალი 5,6	1,000,000	1	1.4.6	3.3.5 გაუმჯობესებულია კვლევა- მონიტორინგის საშახურის საქმიანობა
	5.2.4. ტერიტორიული ორგანოების აღმინისტრაციების მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვა – აღმინისტრაციული შენობება, სატრანსპორტო საშუალებები, საოფისე და საველე ინვენტარი	5.0	2009	2014	მაღალი 5,5	2,000,000	1	1.4.6	3.3.5 გაუმჯობესებულია დაცული ტერიტორიების მართვა
	5.2.5 აღმინისტრაციული ოფისების აღჭურვა შესაბამისი გეოსაინფორმაციო სისტემებით და მისი დანერგვის უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს კვლევისა და მონიტორინგის მიმართულებებს	5.0	2009	2014	მაღალი 5,6	21,000	1	1.4.6	3.3.5 გაუმჯობესებულია კვლევა- მონიტორინგის საშახურის საქმიანობა

**მიზანი: 6. კვლევა-მონიტორინგის სისტემის განვითარება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)	
<b>6.1. კვლევის ხელშეწყობა და კოორდინირება</b>	6.1.1. დაცულ ტერიტორიების ფარგლებში კვლევათა პროგრამების შეზუშავება (განსაკუთრებული კურადღება გამახვილებსა და მათ ბიომრავლეუროვნებაზე, დაბანძურების ზემოქმედების ფონურ შესწავლაზე იმ ტერიტორიებზე, რომლებიც რისკის ქვეშ იმყოფებიან). და მათი გატარების ხელშეწყობა	6.ა	2009	2010	მაღალი 5,9	200,000	1	4.4.2	4.4.3	გაუმჯობესებულია დაცული ტერიტორიების მართვა
	6.1.2. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბიომრავლეუროვნების ინკუნტარიზაცია და განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნა	6.ა	2009	2014	მაღალი 5,6	500,000	1	4.4.3	შედგენილია სრულყოფილი მონაცემთა ბაზა დაცული ტერიტორიების ბიომრავლეუროვნების შესახებ	
	6.1.3. დაცულ ტერიტორიაზე არსებული ჰაბიტატების მდგრადრევის შეფასება	6.ა	2009	2014	მაღალი 5,5	150,000	1	4.4.3	შედგენილია სრულყოფილი მონაცემთა ბაზა დაცული ტერიტორიების ჰაბიტატების შესახებ	
	6.1.4. საკვანძო სახეობებისა (ქვაკუთხედი, ინდიკატორი და ა.შ.) და ჰაბიტატების იდენტიფიცირება	6.ა	2009	2013	მაღალი 5,5	50,000	1	4.4.3	გამოვლენილია დაცული ტერიტორიების ფარგლებში საკვანძო სახეობები და ჰაბიტატები	
	6.1.5. დაცული ტერიტორიების შესახებ პერიოდული სამეცნიერო პუბლიკაციების/კრებულის გამოშვება	6.ა	2012	2014	საშუალო 4,8	150,000	1	4.3.2	პერიოდულად გამოიცემა სამეცნიერო პუბლიკაცია; პოპულარიზაცია, დონორების მოზიდვა	
	6.1.6. დაცული ტერიტორიების ფარგლებში წითელი წუსხის მერქანის სახეობების არგალების დაგდენა	6.ა	2009	2012	მაღალი 5,5	150,000	1	4.4.3	განსაზღვრულია დაცული ტერიტორიების ფარგლებში წითელი წუსხის მერქანის სახეობების არგალები	

**მიზანი: 6. კვლევა-მონიტორინგის სისტემის განვითარება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი	პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
6.1. კვლევების ზელშეწყობა და კოორდინირება	6.1.7. დაცული ტერიტორიების ფარგლებში მცენარეთა ენდემური სახეობების არეალებისა და მდგრმარეობის დადგენა	6.ა	2010 2012	მაღალი 5,1	150,000	1	4.4.3	განსაზღვრულია დაცული ტერიტორიების ფარგლებში მცენარეთა ენდემური სახეობების არეალები და მცენარეების მათი მდგრმარეობა
	6.1.8. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ცალკეული სახეობებისათვის აღდგენის გეგმების შემუშავება (მაგ: ჯეირნი, მუხა, წაბლი)	6.ა	2009 2012	მაღალი 5,4	900,000	1	-	შემუშავებულია ცალკეული სახეობებისათვის აღდგენის გეგმები და გაუმჯობესებულია ამ სახეობების მდგრმარეობა
	6.1.9. ბუნების მატიანის სტრუქტურის გაუმჯობესება და დაზვეწა	6.ა	2009 2009	საშუალო 4,9	20,000	1	3.5.1 3.5.2	ხელშეწყობილია ცნობიერების ამაღლება, დაცული ტერიტორიების პოპულარიზაცია და დონორების მოზიდვა
6.2 მონიტორინგის სისტემის განვითარება და განსორციელება	6.2.1. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბიომრავლეუროვნების მონიტორინგის პროგრამის შემუშავება მონიტორინგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გათვალისწინებით და განხორციელება (ექრადღება მიექცეს მიგრირებად წყალმცურავი ფრინველების, ტყეების ბიომრავლეუროვნებაზე დაბინძურების ზემოქმედების რეგულარულ მონიტორინგს და გამოვლენილი საფრთხეების შესარბილებლად რეკომენდაციების გატარებას)	6.ბ	2009 2014	მაღალი 5,6	500,000	1	4.3.1	დამტკიცებულია ბიომრავალეუროვნების მონიტორინგის პროგრამა დაცული ტერიტორიების ფარგლებში; შექმნილია სისტემატიზირებული ეწყვეტი ინფორმაციული ბაზა დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბიომრავალეუროვნების შესახებ
	6.2.2. ცალკეული დაცული ტერიტორიების ეფექტურობისათვის ინდიკატორების შემუშავება	6.ბ	2010 2012	მაღალი 5,3	200,000	1	4.2.1	ცალკეული დაცული ტერიტორიისათვის შემუშავებულია ინდიკატორები; უზრუნველყოფილია დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვა

**მიზანი: 7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა და ცნობიერების ამაღლება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი		პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
<b>7.1. დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობისა და კოორდინირების გაძლიერება</b>	7.1.1. თანამშრომლობის ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე გაძლიერების მაზნით შესაბამისი ორგანიზაციებისა და თანამშრომლობის სფეროების იდენტიფიცირება; პოტენციური პარტნიორებისა და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა	7.ა	2010	2011	მაღალი 5,0	100,000	1	3.5.3	გამოვლენილია პრიორიტეტული თანამშრომლობის სფეროები; შედგენიალი პოტენციურ პარტნიორთა დონაციათა მინაცემთა ბაზა ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე
	7.1.2. საუწყებათშორისი საბჭოს შექმნა და საკოორდინაციო შეხვედრების ორგანიზება	7.ა	2009	2014	მაღალი 5,0	100,000	1	3.5.3	შექმნილია საუწყებათშორისი საბჭო
	7.1.3. დაინტერესებულ მხარეთა უწყვეტი ინფორმირება – სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება (ვებ-გვერდი, რადიო, TV, შეხვედრები, ბეჭდვითი მასალები, ფილმები)	7.ა	2009	2014	მაღალი 5,6	600,000	1	3.5.3	დაინტერესებულ მხარეთა ცნობიერება ამაღლებულია, თანამშრომლობა გაზრდილია
	7.1.4. საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა (გამოფენები, კონფერენციები, კონვენციების მხარეთა შეხვედრები)	7.ა.ii; 7.ა.iii; 7.ა.iv	2009	2014	მაღალი 5,0	100,000	1	3.2.3	გაუმჯობესებულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და დონორების მოზიდვა
	7.1.5. სამთავრობო და ადგილობრივი სტრუქტურების რეგულარული ინფორმირება დაცული ტერიტორიების განვითარების შესახებ – სანაფორმაციო შეხვედრები, ანგარიშების მიწოდება და სხვა	7.ა.i	2009	2014	საშუალო 4,8	10,000	1	3.5.3	გაზრდილია სამთავრობო და ადგილობრივ სტრუქტურის ინფორმირებულობა და თანამშრომლობა
	7.1.6. მედიატურების ორგანიზება	7.ა; 7.გ	2009	2014	მაღალი 5,9	200,000	1	3.5.3	გაზრდილია საზოგადოების ცნობიერება დაცულ ტერიტორიებთან მიმართებაში და გაუჯობესებულია თანამშრომლობა

**მიზანი: 7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა და ცნობიერების ამაღლება**

ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი	პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
7.1. დაინტერესებულ მხარეთა შორის თანამშრომლობისა და კოორდინირების გაძლიერება	7.1.7. ახალ პარკებთან/დაცულ ტერიტორიებთან კავშირების დამყარება და თანამშრომლობა	7.a.iii	2009	2010	მაღალი 5,0	50,000	1	4.1.1
7.2. ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობის გაძლიერება	7.2.1. ცალკეული დაცული ტერიტორიების საკონსულტაციო საბჭოების ფუნქციონირების ხელშეწყობა	7.ა; 7.ბ	2009	2014	მაღალი 5,0	200,000	1	2.2.2 3.5.4
7.3. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დაცული ტერიტორიების ფუნქციებასა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საჭიროებებში	7.3.1. რეგულარული სოციოლოგიური კვლევების ჩატარება მოსახლეობის ცნობიერების დონის შეფასებისა და საჭიროების გამოვლენის მიზნით	7.გ	2009	2014	მაღალი 5,3	60,000	1	3.5.6
	7.3.2. უნარშეზღუდული და ზრუნვამოკლებული ბავშვებისათვის სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება	7.გ	2009	2014	მაღალი 5,6	50,000	1	3.5.1 3.5.5
	7.3.3. ასაკიბრივი ჯგუფებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების და ტურების შემუშავება და განხორციელება; თანამშრომლობის დამყარება საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სასწავლო პროგრამებში დაცული ტერიტორიების თემასთან დაკავშირებით	7.გ	2009	2014	მაღალი 5,5	50,000	1	3.5.1 3.5.5
	7.3.4. კიზიტორთა ცენტრების და საგამოფენო დარბაზების მოწყობა ყველა დაცულ ტერიტორიაზე	7.გ	2009	2014	მაღალი 5,5	2,000,000	-	-

მიზანი: 7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა და ცნობიერების ამაღლება								
ამოცანა	ქმედება	პრობლემა	დროის შუალედი	პრიორიტეტი	საჭირო რესურსები	კონვენციებთან შესაბამისობა	შესაბამისობა CBD PoW on PAs აქტივობებთან	ინდიკატორი (მოსალოდნელი შედეგი)
7.3. მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება დაცული ტერიტორიების ფუნქციებას და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის საჭიროებებში	7.3.5. საინფორმაციო- საგანმანათლებლო დაუების მომზადება და განთავსება დაცულ ტერიტორიებზე, ეკოსაგანმანათლებლო ბილიკების მოწყობა	7.3	2009	2014	მაღალი 5,1	1,000,000	-	ამაღლებულია საზოგადოების ცნობიერება
	7.3.6. სკოლის მასწავლებლთათვის სემინარების და ტრეინინგების ორგანიზება	7.3	2009	2014	მაღალი 5,4	200,000	1	3.5.5
	7.3.7. ფესტივალები და კონკურსები (ბაზიერების ფესტივალი, ქართული ნაგაზის კონკურსი, ფოტოფონგურსი, ნახატების კონკურსი, და სხვა)	7.3; 7.3	2009	2014	მაღალი 5,8	200,000	1	3.5.8
	7.3.8. სარეკლამო საქმიანობა (ბეჭდვითი, სატელევიზიო, რადიო, ვებ-გვერდი)	7.3; 7.3	2009	2014	მაღალი 5,4	600,000	1	3.5.8
	7.3.9. წლიური ანგარიშის მომზადება და საზოგადოებისათვის მიწოდება	7.3	2009	2014	მაღალი 5,6	10,000	1	4.4.6
	7.3.10. “მწვანე სერტიფიკატის” მექანიზმის შემუშავება	7.3	2010	2012	მაღალი 5,7	150,000	-	სერტიფიცირების სისტემა შემუშავებულია; დაწყებულია ბუფერულ ზონაში მცხოვრები მოსახლეობის ეკო- პრივატული ტერიტორიების სერტიფიკატის მინიჭება

**დანართი 1:**

**საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმოხილვა**

# საქართველოს დაცული ტერიტორიების მიმოხილვა

## 1. საქართველოს ბიომრავალფეროვნების და დაცული ტერიტორიების მიმოხილვა

### 1.1. საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება

საქართველო მდებარებს სამხრეთ კავკასიაში. ქვეყნის ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 69,7 ათას კმ<sup>2</sup>-ს. საქართველოს რელიეფს ქმნის მთების, ზეგანებისა და ვაკეების ერთობლიობა. ქვეყნის ჩრდილოეთით წარმოდგენილია კავკასიონის მთიანი სისტემა, სამხრეთით – მცირე კავკასიონის მთიანი ნაწილი და სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი. ამ ორ მთათა სისტემას შორის მოქცეულ ბარს ლიხის ქედი 2 ნაწილად ჰყოფს (კოლხეთის ბარი და ივერიის ბარი). ვერტიკალური გავრცელება ზღვის დონიდან აღწევს 5 184 მ-მდე.

საქართველო მდიდარია ჰიდრორესურსებით, რომელთა უმეტესი ნაწილი თაგმოყრილია ქვეყნის დასავლეთ ნაწილში. საქართველოში არის 850-ზე მეტი ტბა, რომელთა საერთო ფართობი დაახლოებით 170 კმ<sup>2</sup>-ია. არსებული მდინარეები (26 060 მდინარეზე მეტი) ეკუთვნის შავი და კასპიის ზღვის აუზებს. ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარე მდინარეთა უმრავლესობა უშუალოდ ერთვის შავ ზღვას. აღმოსავლეთში თითქმის ყველა მდინარე ქმნის მტკვრის სისტემას და ჩაედინება კასპიის ზღვაში.

ქვეყნის მდებარეობიდან და რელიეფიდან გამომდინარე კლიმატი მრავალფეროვანია. დასავლეთ საქართველოში ის ნოტიო სუბტროპიკულია, აღმოსავლეთში – მშრალი და ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული, ხოლო სამხრეთში – კონტინენტური.

ასევე მრავალფეროვანია საქართველოში გავრცელებული ნიადაგის ტიპებიც. ჭაობიანი და ეწერი, გორაკ-ბოცვიანი მთისწინეთის წითელმიწა და ყვითელმიწა, მთა-ტყის და მთა-მდელოს ნიადაგების ზონები წარმოდგენილია დასავლეთის ოლქში. წაბლა, შავმიწა და მურა ნიადაგები კი დამახასიათებელია აღმოსავლეთის ოლქისთვის.

### 1.2. ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა გლობალურ და ლოკალურ დონეზე

დედამიწაზე გამოყოფილ ბიოლოგიურ მრავალფეროვნების 34 “ცხელ წერტილს” (Hot spots) შორის ერთ-ერთი კავკასიაა. საქართველო ასევე არის 200 გლობალურ ეკორეგიონს შორისაც, რომლებიც იდენტიფიცირებულია ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) მიერ შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით: სახეობრივი მრავალფეროვნება, ენდემიზმის დონე, ტაქსონომიური უნიკალურობა, ევოლუციური პროცესები და ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების თაგისებურებები, მცენარეულობის ტიპების მრავალფეროვნება და ბიომების იშვიათობა გლობალურ დონეზე.

ზომიერი კლიმატის ქვეყნებს შორის საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესია ფლორისტული თვალსაზრისით. ჭურჭლოვანი მცენარეები 4 100-ზე მეტი სახეობითაა წარმოდგენილი (კავკასიაში 6 350-მდე მცენარეთა სახეობაა აღწერილი). ფლორის დაახლოებით 21%, ანუ 900 სახეობა ენდემურია (600 კავკასიის, 300 საქართველოს ენდემი). ენდემიზმი მაღალია გვარის დონეზეც (წარმოდგენილია 16 ენდემური და სუბენდემური გვარი).

საქართველო ასევე მდიდარია აგრობიომრავალფეროვნებით. იგი წარმოადგენს კულტურულ მცენარეთა წარმოშობისა და მრავალფეროვნების ერთ-ერთ ცენტრს, სადაც ჩამოყალიბდა ვაზის, მარცვლოვნების, ხეხილის და სხვა მრავალი ჯიშები.

მრავალფეროვანი და თავისებურია საქართველოს ფაუნაც. საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები განაპირობებენ უხერხემლო და ხერხემლიან სახეობათა

მრავალფეროვნებას, რომელთა შორის მრავლადაა ენდემური სახეობები. საქართველოში გავრცელებული ცხოველთა მრავალი სახეობა შეტანილია IUCN – ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის წითელ ნუსხაში.

უხერხემლო ცხოველთა ჯგუფები არაა სრულად შესწავლილი, თუმცა ზოგიერთი ტაქსონები საკმაოდ კარგადაა გამოკვლეული. საფრთხეში მყოფი და ენდემური უხერხემლო სახეობები მრავლადაა წარმოდგენილი დიდი კავკასიონის მაღალმთიან ადგილებში, კოლხეთის დაბლობზე, ბორჯომის ხეობაში, ივრის ზეგანის და მესხეთის ქედის სამხრეთ მთისწინა ადგილებში.

საქართველოს მტკნარ წყლებში გავრცელებულია 80-ზე მეტი სახეობის თევზი, რომელთაგან ბევრი ენდემურია. მაგალითად, მტკვრის აუზში გავრცელებული 12 სახეობიდან 9 ენდემს წარმოადგენს, შავი ზღვის აუზის თევზებიდან 6 სახეობა ენდემურია. საქართველოში გავრცელებულია ამფიბიის 12 და ქვეწარმავლის 50-ზე მეტი სახეობას, მათ შორის ხვლიკის 12 სახეობა კავკასიის ენდემია.

საქართველოში ვხვდებით 300-ზე მეტ ფრინველთა სახეობას. მათგან 3 კავკასიის ენდემს წარმოადგენს. კოლხეთის დაბლობი და ჯავახეთის ზეგანი ფრინველთა მიგრირებადი სახეობებისთვის მნიშვნელოვან დასასვენებელ და დასაზამთრებელ ადგილს წარმოადგენს. საქართველოში ვხვდებით ძუძუმწოვართა 109 სახეობას, რომელთაგან 79 წვრილი ძუძუმწოვრების და 30 მსხვილი ძუძუმწოვრების რიგებითაა წარმოდგენილი, რომელთაგან ნაწილი კავკასიის ენდემური სახეობებია.

### 1.3. დაცული ტერიტორიებისა და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით

საქართველოს მდიდარი ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიები ქვეყნის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს. თუმცა ქვეყნის განვითარებასთან ერთად იზრდება ბიომრავალფეროვნების სხვადასხვა კომპონენტების ექსპლუატაციაც.

ფუნქციები, რომლებიც ეკოსისტემებს გააჩნიათ (უზრუნველყოფის, მარეგულირებელი, დამწმარე და კულტურული) იმავდროულად, სოციო-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორებია. ეკოსისტემები წარმოადგენს წყლის, საკვების, ენერგიის, რეკრეაციის, ფარმაცევტული მცენარეების და სხვ. წყაროს. შესაბამისად დაცული ტერიტორიებიც იმავე ფუნქციებისა და მნიშვნელობის მატარებელია, რაც ამ ტერიტორიების ფარგლებში მოქმედი ეკოსისტემები.

ასე მაგალითად, ჭარბტენიან ტერიტორიებს, მათი უმნიშვნელოვანები ბიომრავალფეროვნების მქონე ჰაბიტატებით, ძალიან მნიშვნელოვანი ეკოლოგიური და ეკონომიკური როლი გააჩნია. ნადირობა, თევზჭერა, ხე-ტყისა და ფლორის სხვა სახეობების რაციონალური და კომერციული გამოყენება ისევე უმნიშვნელოვანები ფაქტორია სოციო-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით.

მცნარეული რესურსების გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოლო პერიოდში. ტყის რესურსი გამოიყენება საწვავად და საშენ მასალად. ინტენსიურად მიმდინარეობს ბევრი კომერციული, საკვები, სამკურნალო, დეკორატიული და სხვა სახეობების მოპოვება.

არსებული ბევრი წყალსატევი, მდინარე და ტბა იძლევა თევზის რეწვის საშუალებას. საქართველოში მიმდინარეობდა ძვირფასი სარეწაო სახეობების მოპოვება, რომელთა რაოდენობა ანთროპოგენული ზემოქმედების გამო მნიშვნელოვნად შემცირდა. სავარაუდოდ გაიზრდება ინტერესი ნადირობისადმიც.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მიმართულებას ტურიზმი, კერძოდ კი ეკოტურიზმი წარმოადგენს, რაც თავის მხრივ, დაფუძნებულია საქართველოს უნიკალური ეკოსისტემებისა და სახეობების სიმღიდრეზე. საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის განვითარებას დიდი პოტენციალი აქვს, რაზეც მეტყველებს ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებიც. კერძოდ კი, საგრძნობლად გაიზარდა ვიზიტორთა რაოდენობა 2005-2007 წლებში. თუ 2005 წელს ვიზიტორთა რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 2 005-ს, 2007 წელს 24 222-ს. 2008 წლის მძიმე პოლიტიკური ვითარების მიუხედავად დაცულ ტერიტორიებზე 55 276 ვიზიტორი დაფიქსირდა, რაც თავისთავად გაზრდილ შემოსავალზე მეტყველებს. დაცულ ტერიტორიებზე ტურიზმის გზრდა თავის მხრივ დადებითად აისახება მიმღებარე ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზეც, რომელთაც ეძლევათ საშუალება წარუდგინონ ვიზიტორებს ადგილობრივი ტრადიციული საქმიანობის ნიმუშები თუ სამეურნეო პროდუქტი, რაც მათთვის დამატებითი შემოსავლის წყაროდ შეიძლება იქცეს. ვიზიტორთა და ტურისტთა მისაზიდად ხშირად თვით დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ინვესტიციების, კონცესიების თუ სხვა გზით ზრუნავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე (გზები, წყალ-გაყვანილობა, ა.შ.), რაც ბუნებრივია დადებითად აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე. ხშირ შემთხვევაში დაცული ტერიტორიები ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამატებითი სამუშაო ადგილების წყაროსაც წარმოადგენს.

ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილი ეკოსისტემის ფუნქციებისა და ბიომრავალუროვნების როლის გათვალისწინებით დაცული ტერიტორიების მნიშვნელობის მიმოხილვისას სხვა ფუნქციებთან ერთად უნდა იყოს გათვალისწინებულ მათი ეკონომიკური და სოციალური დატვირთვაც, რამეთუ დაცული ტერიტორიების გონიერი და მდგრადი მენეჯმენტის შემთხვევაში დაცული ტერიტორიების მიერ შემოთავაზებული მომსახურებით გენერირებული შემოსავალი მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ქვეყნის ეკონომიკაში.

## **2. დაცული ტერიტორიების როლი და მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად მოხმარებაში**

ბუნებრივი რესურსების გამოყენება საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობს. ბუნების დაცვის უფერო მექანიზმების არარსებობამ საბჭოთა პერიოდში, ისევე როგორც ბოლო დროს განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა და კანონების არაქმედითუნარიანობამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ზოგადად ბიომრავალფეროვნებაზე.

წლების განმავლობაში ადამიანის საქმიანობის შედეგად შესამჩნევი ცვლილებები განიცადა ცოცხალმა ბუნებამ: ფართო ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი ტყეები ჩანაცვლა მეორადმა მცენრეულობამ ან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებმა; ამოიშრო ჭაობები; გადაშენების ან სერიოზული გენეტიკური ეროვნის საფრთხის წინაშე დადგა ასობით მცენარეთა სახეობა, მათ შორის საკვანძო და ენდემურ-რელიქტური სახეობები და მცირერიცხოვანი პოპულაციები; სრული დეგრადაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა იშვიათი მცენარეული თანასაზოგადოებები, პირველადი და გლობალური მნიშვნელობის მქონე ბიოტოპები.

ბოლო პერიოდში გაიზარდა მცენარეული რესურსების გამოყენება. ინტენსიურად ხდება საკვები, სამკურნალო, დეკორატიული და სხვა სახეობების მოპოვება. საქართველოს ბევრ რეგიონში დიდ პრობლემას ქმნის გადაჭარბებული ძოვება, რაც ძლიერ ეროვნულ პროცესებს და გაუდაბნოებას უწყობს ხელს. ეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის როგორც ბიომრავალფეროვნებას, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის მეურნეობასაც.

საქართველოს ტერიტორიის დახლოებით 40% ტყით არის დაფარული. ჯერ კიდევ შემორჩენილია თითქმის ხელუხლებელი ტყის კორომები, რომლებიც დიდი კონსერვაციული მნიშვნელობით გამოირჩევა. თუმცა, ხშირ შემთხვევაში ტყის საშუალო სიხშირე კრიტიკულ ზღვრამდეა დასული. კერძოდ, კრიტიკულ ზღვრაზე დაბალი სიხშირის კორომები შეადგენს ტყით დაფარული საერთო ფართობის ნახევარზე მეტს. ეს იწვევს ტყის დაცვითი ფუნქციებისა (ნიადაგდაცვითი, წყალშემნახველი, წყალმარეგულირებელი, სანიტარულ-ჰიგიენური და სხვ.) და ტყის თვითაღდგენა-თვითგანახლების უნარის დაქვეითებას. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს საერთო ეკოლოგიურ ვითარებაზე საქართველოში. სერიოზული საფრთხის წინაშეა ტუგაის ტიპის ჭალის ტყეები.

ბუნებრივი ეკოსისტემების რღვევა კველაზე მეტად აისახა ეკოლოგიური პირამიდის წვერში მყოფ სახეობებზე, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ ე.წ. ქვაკუთხედ სახეობებს. თავის მხრივ, ამ სახეობათა შემცირება იწვევს მთლიანი ეკოსისტემის მდგრადობის შემცირებას და რღვევას. საქართველოში ასეთ ქვაკუთხედ სახეობებს მიეკუთვნება მგელი და მტაცებელი ფრინველი.

საქართველოში იმ ცხოველური რესურსების მოპოვება, რომლებიც სპორტული და სატროფეო ნადირობის, შიდა და საერთაშორისო ვაჭრობისთვის ინტერესს წარმოადგენს საფრთხის წინაშე აყენებს საქართველოს სახეობათა პოპულაციებს. ნადირობის არასწორი და არაეფექტური მართვის გამო სანადირო სახეობების რიცხვი მკვეთრად შემცირდა. ზოგიერთი სახეობა საქართველოს ტერიტორიაზე საერთოდ გადაშენდა (მაგ. ჯეირანი, ანუ ქურციკი), თუმცა მათი აღდგენა ჯერ კიდევ შესაძლებელია. აღსანიშნავია, რომ სანადირო-სატროფეო და ვაჭრობისთვის საინტერესო სახეობების მიმართ ინტერესი სვარაუდოდ უფრო გაიზრდება.

პაბიტატების განადგურების, ცხოველთა სამიგრაციო გზების მოშლის და უშუალოდ ცხოველთა მოპოვების გამო, ტყის ეკოსისტემებში მცხოვრები სახეობები და სანადირო სახეობები განსაკუთრებული საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. სავალალო მდგომარეობაშია მსხვილი მუძუმწოვრების არსებობა. გადაშენების პირას აღმოჩნდნენ ჩლიქოსნების უმეტესობა. მცირერიცხოვანი პოპულაციებით ან ერთეული ინდივიდების სახით არის შემორჩენილი ზოგი ისეთი სახეობა როგორიცაა ზოლებიანი აფთარი და ჯიქი. სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ კეთილშობილი ირემის, ნიამორის, ჯიხვის, არჩვის და მურა დათვის სახეობებიც.

შემცირდა ატლანტიკური ზუთხის პოპულაცია, შავი ზღვის ორაგული და სხვა, რაც გამოწვეულია ძირითადად საქართველოს ტერიტორიულ წყლებში დაბინძურებითა და გადაჭარბებული თევზჭერით. ასევე მძიმეა ზღვის მუმტოვრების (სამი სახეობის დელფინი) მდგომარეობაც.

წყლის ეკოსისტემების დეგრადაცია და ნადირობა საფრთხეში აგდებს ასევე წყალმცურავ ფრინველებს, რომელთაგან მრავალს ეროვნული და გლობალური მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს ბიომრავალფეროვნების ასეთ მდგომარეობაში არსებობის პირობებში ჰაბიტატებისა და სახეობათა შენარჩუნება-აღდგენაში მნიშვნელოვანი როლი *In-situ* კონსერვაციას ენიჭება. საბჭოთა პერიოდში ეს ხორციელდებოდა ძირითადად ნაკრძალების შექმნით. ბოლო პერიოდში კი სხვა კატეგორიის დაცული ტერიტორიების დაარსების გზით.

დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარება ხელს უწყობს ბიომრავალფეროვნების დაცვას და ბუნებრივი რესურსების მდგრად მოხმარებას. ეკონომიკური პოტენციალის თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ საქართველოში არსებულ IV კატეგორიის დაცულ ტერიტორიებს - აღკვეთილებს. სახელმწიფოს მიერ სწორი დაგეგმვისა და ეფექტური მონიტორინგის საფუძველზე შესაძლებელია ამ ტერიტორიების გრძელვადიან კერძო მენეჯმენტში გადაცემა ეკოტურიზმის და/ან მდგრადი სამონადირეო მეურნეობის განვითარებისთვის. სწორი სტრატეგიის, მდგრადი მართვისა და შემოსავლების სწორად გამოყენების შემთხვევაში ნადირობამ შესაძლებელია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასაც კი შეუწყოს ხელი.

### **3. საქართველოში დაცული ტერიტორიების განვითარების მოკლე ისტორია**

საქართველოში ბუნებრივი ტერიტორიების დაცვას დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველი საკანონმდებლო ჩანაწერები ტყეებისა და ბუნების დაცვის შესახებ XII საუკუნით თარიღდება, როდესაც თამარ მეფემ სამეფო ბრძანება გამოსცა ზოგიერთი ტერიტორიის დასაცავად. XVII საუკუნეში ვახტანგ VI-ის “კანონთა კრებულში” ყორულის ტერიტორია მოხსენიებულია როგორც დაცვის ობიექტი, რომელსაც მცველები იცავდნენ. ამ ტერიტორიაზე აკრძალული იყო ხეების მოჭრა და სეირნობა. მთიან რეგიონებში არსებობდა მკაცრი დაცვის ქვეშ მყოფი ეგრეთწოდებული “ხატის ტყეები”, რომელიც მკაცრ დაცვას ექვემდებარებოდა და ტიპიურ ნაკრძალებს წარმოადგენდა.

პირველი ოფიციალური ნაკრძალი – ლაგოდეხის ნაკრძალი - დაარსდა 1912 წელს კახეთში, ლაგოდეხის ხეობაში. საბჭოთა პერიოდში დაცული ტერიტორიების რაოდენობა იცვლებოდა. 1920-1930 წლებში დაცული ტერიტორიების რაოდენობა გაიზარდა. მაგრამ 1951 წელს, როგორც ბუნებრივი რესურსების მობილიზაციის გეგმის ერთ-ერთი ქმედება, ნაკრძალების უმეტესობა გაუქმდა. არსებული 28 ნაკრძალიდან მხოლოდ ერთი – ლაგოდეხის ნაკრძალი გადაურჩა ამ კამპანიას. 1957 წლიდან მოხდა ზოგიერთი ძველი ნაკრძალის აღდგენა, რის შედეგადაც შემდგომ პერიოდში საქართველოში არსებობდა 14 ნაკრძალი და 5 სატყეო-სამონადირეო მეურნეობა, რაც, შესაბამისად, საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 2.4%-ს და 0.8%-ს შეადგენდა.

საბჭოთა პერიოდში დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა 1958 წლის კანონით ბუნების დაცვის შესახებ. თუმცა, დაცული ტერიტორიების სისტემა ამავდროულად შედიოდა სატყეო სექტორშიც. აღნიშნული იწვევდა ინტერესთა შეუთახმებლობას ბუნების კონსერვაციისა და სატყეო სექტორებს შორის ყველა დონეზე (ადმინისტრაციული, საკანონმდებლო, მეცნიერების, გეგმარების და სხვა).

ნაკრძალებში ნებისმიერი სახის ჩარევა კანონით იყო აკრძალული, თუმცა ნაკრძალების უმეტესობაში კანონი ირღვეოდა. ნაკრძალების დაარსებისას არ გამოიყენებოდა კომპლექსური მიღოვანა. აქცენტი კეთდებოდა რომელიმე ერთი სახეობის დაცვაზე და ყურადღება არ ექცეოდა სხვა სახეობებსა და მთლიანად ეკოსისტემას. ნაკრძალის ჩამოყალიბების მიზნები არასწორად იყო იდენტიფიცირებული და არ არსებობდა დაცული ტერიტორიების ერთიანი სამართლებრივი ბაზა. აქედან გამომდინარე ნაკრძალების უმეტესობა დაბალი ეკოლოგიური ეფექტურობით ხასიათდებოდა.

გარდა ნაკრძალებისა და სატყეო-მეურნეობებისა დაცვის კიდევ ერთ ობიექტს წარმოადგენდა “საქართველოს სსრ წითელ წიგნში” შეტანილი ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ძეგლები. ცოცხალი ბუნების ძეგლებს წარმოადგენდა ცალკეული ხე-მცენარეების დიდი ზომის და დიდხნოვანი ეგზემპლარები (მაგ. ჭალა მუხა – “ერისტოს მუხა” საგარეჯოს რ-ში, ასაკი 600 წელი; უთხოვარი – “ხე პატრიარქი” ახმეტის რ-ში, ასაკი 1 800 წელი; და სხვა), სულ 30 ობიექტი. არაორგანული ბუნების ძეგლებს წარმოადგენდა კლდის სვეტები, მღვიმეები, ნამარტი მცენარეულობა, კანიონები და ხეობები, ვულკანური ფორმები და სხვა, სულ 77 ობიექტი. ნაწილი ამ ძეგლებისა მდებარეობდა უშალოდ ნაკრძალების ტერიტორიაზე. ამ ძეგლების მენეჯმენტი არ ხდებოდა. თუმცა, ბუნების ძეგლების დაზიანებისა და ხელყოფისათვის შესაძლებელი იყო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებაც.

1990 წლიდან საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიწყო დაცული ტერიტორიების თანამედროვე დაგეგმვა და ჩამოყალიბება. შემუშავდა საქართველოს დაცული ტერიტორიების სივრცითი სტრუქტურის განვითარების პირველი სქემა, რაც საფუძვლად დაედო შემდგომ გეგმარებით სამუშაოებს. 1995 წელს დაარსდა აღმოსავლეთ კავკასიონის, ივრის, კოლხეთის, აჭარა-იმერეთის, ცენტრალური კავკასიონისა და ერუშეთის, შავშეთისა და აფხაზეთის დაცული ტერიტორიების გეგმარების რეგიონები.

1996 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ”, რომლითაც დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმების შესაბამისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები IUCN-ის მიხედვით. მიღებული კანონის თანახმად, დაცული ტერიტორიებისთვის გამოყენებული კატეგორიები მოცემულია ცხრილში №1.

#### ცხრილი №1. დაცული ტერიტორიების კატეგორიები

დაცული ტერიტორიის სახე	მიზანი	კატეგორია (IUCN)
სახელმწიფო ნაკრძალი	მკაცრი დაცვა	I
ეროვნული პარკი	ეკოსისტემების კონსერვაცია და რეკრეაცია	II
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია	III
აღკვეთილი	შენარჩუნება აქტიური მართვის გზით	IV
დაცული ლანდშაფტი	ლანდშაფტების და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და რეკრეაცია	V
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი ეკოსისტემის მდგრადი გამოყენება	VI

“დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” კანონის მიხედვით შესაძლებელია ასევე შეიქმნას ბიოსფერული რეზერვები და მსოფლიო მემკვიდრეობის უბნები, რომლებიც უნდა დამტკიცდეს UNESCO-ს მიერ.

1997 წელს საქართველოს მთავრობამ აიღო პასუხისმგებლობა დაცული ტერიტორიების ფართობი გაზარდოს 20%-მდე. საქართველოს მთავრობის მიერ 2001 წელს აღებული ვალდებულებით კი 2010 წლისთვის საქართველოს ტყეების 15% მოქცეული უნდა იყოს (I-IV კატეგორიის) დაცულ ტერიტორიებში.

2002 წელს დაიწყო “საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტი” მსოფლიო ბანკისა და მსოფლიო ბუნების ფონდის (GEF) მხარდაჭერით. პროექტის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია ეკოლოგიურად და სოციალურად მდგრადი დაცული ტერიტორიების შექმნის მეშვეობით და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის კურსის გატარებით ამ დაცული ტერიტორიების დამაკავშირებელ სამეურნეო ლანდშაფტებში. პროექტის დახმარებით უნდა მოხდეს ა) დაცული ტერიტორიების დაგეგმარების ხელშეწყობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონზე; ბ) დაცული ტერიტორიების განვითარება და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესახებ ცნობიერების ამაღლება აღმოსავლეთ კავკასიონის სამ რეგიონში; და გ) დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის რეორგანიზაცია და ინსტიტუციური გაძლიერება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და მართვის მიზნით.

2003 წელს აღმოსავლეთ საქართველოში არსებული ნაკრძალები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. შეიქმნა ახალი დაცული ტერიტორიები.

2004 წელს მოხდა “ზურმუხტოვანი ქსელის” კანდიდატი ტერიტორიების იდენტიფიკაცია, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. ამ კანდიდატი ტერიტორიების ნუსხა გადაიგზავნა ბერნის კონვენციის სამდივნოში.

2005 წელს WWF-ის კავკასიის პროგრამული ოფისის მიერ განისაზღვრა კონსერვაციისთვის პრიორიტეტული ტერიტორიები თუმცა ამ ტერიტორიების დამტკიცება ჯერ არ მომხდარა. ერთ-ერთ ასეთ ტერიტორიად მიჩნეულია ვაკახეთის ზეგანი, სადაც დაგევმილია 4 აღკვეთილისა და ეროვნული პარკის დაარსება. სამი აღკვეთილის დაარსების ადგილები წარმოადგენს მნიშვნელოვნი ჭარბტენიან ტერიტორიებს, რომელთა წარდგენაც დადგემილია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიან ტერიტორიების სიაში ჩასართავად. ეს მომზადებული დოკუმენტი შესაძლებელია საფუძვლად დაედოს დაცული ტერიტორიების გაფართოების სქემას.

2005 წელს საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე დამტკიცდა “საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და ქმედებათა გეგმა”, რომლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას დაცული ტერიტორიები წარმოადგენს.

## 4. საქართველოს დაცული ტერიტორიების დღევანდელი მდგრადი

### 4.1. საქართველოს დაცული ტერიტორიები

საქართველოში დღეისათვის არსებული დაცული ტერიტორიების კანონით განსაზღვრული საერთო ფართობი არის 495 892 ჰა<sup>3</sup>, რაც ქვეყნის საერთო ტერიტორიის 7,18 %-ს შეადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” კანონის თანახმად საქართველოში არსებობს დაცული ტერიტორიის ექვსი კატეგორია. ამ კატეგორიების მიხედვით, ამჟამად საქართველოში არის 14 სახლმწიფო ნაკრძალი, 8 ეროვნული პარკი, 14 ბუნების ძეგლი, 12 აღკვეთილი, 2 დაცული ლანდშაფტი და 5 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია (იხ. ცხრილი №2, სქემა 1.). ქვემოთ მოცემულია არსებული დაცული ტერიტორიების კატეგორიების მოკლე მიმოხილვა.

#### ნაკრძალი

ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია უზრუნველყოფს ბუნების ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნებას ადამიანისგან სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე. ეს კატეგორია შექმნილია ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიურ და ხელუხლებელ მდგრამარეობაში შენარჩუნების მიზნით. ამ კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე დასაშვებია მხოლოდ უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიება, საგანმანათლებლო საქმიანობა სპეციალური ნებართვით და გარემოს მონიტორინგი.

საქართველოში პირველი ნაკრძალი დაარსდა 1912 წელს ლაგოდეხის ხეობაში. დღეისათვის საქართველოში არსებობს 14 ნაკრძალი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 141 473 ჰა-ს (რეალურ მფლობელობაში – 74 392 ჰა).

#### ეროვნული პარკი

ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია მოიცავს შედარებით დიდ ფართობს და ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისთვის. ეროვნული პარკი შეიძლება შეიქმნას ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი და ბუნებრივი სილამაზით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად, სასიცოცხლო და რეკრეაციული საქმიანობისთვის. ეროვნულ პარკში დაცულია საქართველოს “წითელ ნუსხაში” შეტანილი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები, ერთი ან რამდენიმე დაუზიანებელი ან ნაკლებად დაზიანებული ეკოსისტემა, ბიოცენოზი. ეროვნულ პარკებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ტურიზმის განვითარებისთვის.

საქართველოში პირველი ეროვნული პარკი თბილისის ეროვნული პარკის სახელწოდებით შეიქმნა 1973 წელს, რომელიც შემდგომში გაუქმდა. 2007 წლის ბოლოს მიღებული კანონით მოხდა თბილისის ეროვნული პარკის აღდგენა. 1995 წელს დაარსებული ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, 2007 წელს გაერთიანდა ევროპული დაცული ტერიტორიების ქსელში, PAN Park-ში. დღეისათვის საქართველოში არის 8 ეროვნული პარკი, საერთო ფართობით 258 437 ჰა, მათ შორის ხმელეთი 242 694, ზღვის აკვატორია 15 743 (რეალურ მფლობელობაში – 251 979 ჰა, მათ შორის ხმელეთი 236 236, ზღვის აკვატორია 15 743). იგეგმება კიდევ 3 ახალი ეროვნული პარკის შექმნა – რაჭის, სვანეთის და ჯავახეთის.

#### ბუნების ძეგლი

ბუნების ძეგლი შეიძლება შეიქმნას ეროვნული მნიშვნელობის, შედარებით მცირე უნიკალური ბუნებრივი ტერიტორიებისა და იშვიათი ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული წარმონაქმნების – იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპაქტური ეკოსისტემების, ცალკეული გეოგრაფიული და ჰიდროლოგიური წარმონაქმნების,

<sup>3</sup> რეალურ მფლობელობაში არსებული დაცული ტერიტორიების საერთო ფართობი შეადგენს 365 933 ჰა დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2009 წლის 1 აპრილის მდგრადების მიხედვით.

საერთო ფართობი არ მოიცავს ზოგიერთი ბუნების ძეგლების ტერიტორიების ფართობებს ამჟამად შესაბამისი მონაცემების არარსებობის გამო.

მცენარეთა ცალკეული ეგზემპლიარების, ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტების დასაცავად.

საქართველოში პირველი სამი ბუნების ძეგლი დაარსდა 2003 წელს, საერთო ფართობით 314 ჰა. 2007 წლის ბოლოს მიღებული “იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ” კანონის თანახმად შეიქმნა 11 ახალი ბუნების ძეგლი. კანონში ბუნების ძეგლების და ასევე მღვიმეების მიმდებარე ტერიტორიების ფართობი არ არის მითითებული, რის გამოც ბუნების ძეგლების საერთო ფართობის განსაზღვრა შეუძლებელია, რაც თავის მხრივ, არასრულ ინფორმაციას იძლევა დაცული ტერიტორიები საერთო ფართობის შესახებ.

#### აღკვეთილი

ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმის ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზების და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად. აღკვეთილში წარმოდგენილია ცოცხალ ორგანიზმთა იშვიათი, უნიკალური, დამახასიათებელი და საქართველოს “წითელ ნუსხაში” შეტანილი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობები და ეკოსისტემის ცალკეული მნიშვნელოვანი კომპონენტები. აღკვეთილში ნებადართულია ადამიანის ჩარევა ცხოველთა და მცენარეთა სახეობების აღდგენისა და მოვლის მიზნით. აღკვეთილში ასევე დაშვებულია ცალკეული განახლებადი ბუნებრივი რესურსების მოხმარება მკაცრი კონტროლის პირობებში.

საქართველოში პირველი სამონადირეო მეურნეობა 1957 წელს გარდაბნის რაიონში შეიქმნა, რომელსაც 1996 წელს აღკვეთილის სტატუსი მიენიჭა. დღეისათვის საქართველოში არის 12 აღკვეთილი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 61 158 ჰა-ს (რეალურ მფლობელობაში – 36 058 ჰა).

#### დაცული ლანდშაფტი

ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს პარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისთვის. ასეთი ლანდშაფტი გამოირჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით. ამ ტერიტორიაზე შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარება.

საქართველოში პირველი დაცული ლანდშაფტი 2003 წელს შეიქმნა თუშეთში. 2007 წელს შეიქმნა კინტრიშის დაცული ლანდშაფტი. იგეგმება დავით-გარეჯის დაცული ლანდშაფტის დაარსება. ამჟამად არსებული დაცული ლანდშაფტების საერთო ფართობი შეადგენს 34 510 ჰა-ს (რეალურ მფლობელობაში – 3 190 ჰა).

#### მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია

ამ კატეგორიის დაცული ტერიტორია იქმნება ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისთვის გარემოს დაცვის მოთხოვების გათვალისწინებით. ამ კატეგორიის ტერიტორიები წარმოადგენენ წყლის აკვატორიებს, ტყეებსა და საძოვრებს, ნადირობის, თევზჭერისა და ნადირ-ფრინველის გავრცელების ადგილებს, ასევე ტურიზმისთვის საინტერესო ტერიტორიებს. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე არ უნდა არსებობდეს ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ბუნებრივი წარმონაქმნი.

შესაბამისი კანონებით განსაზღვრულია 5 მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის დაარსება. ესენია: ახმეტის, ლაგოდეხის, ვაშლოვანის, ქობულეთისა და კოლხეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები. თუმცა, კანონებში არ არის მითითებული ამ მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიების ფართობები. შესაბამისად, არ მომზდარა არც ამ ტერიტორიების გამოყოფა და მათი დაცული ტერიტორიების სააგენტოსთვის გადაცემა.

ცხრილში № 2 მოცემულია საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიების ჩამონათვალი, მათი ფართობებისა და დაარსების წლების მითითებით<sup>4</sup>.

**ცხრილი № 2. საქართველოს დაცული ტერიტორიები**

№	დაცული ტერიტორია	ფართობი (ჰა)	დაარსების წელი
<b>ნაკრძალები</b>			
1	ლაგოდეხი	22 295	1912
2	თუშეთი	10 858	1980
3	ბაბანეური	862	1960
4	ბაწარა	2 986	1935
5	ვაშლოვანი	10 143	1935
6	ლიაზვი <sup>5</sup>	6 388	1977
7	მარიამჯვარი	1 040	1935
8	სათაფლია	354	1935
9	ბორჯომი	14 820	1929
10	ბიჭვინთა-მიუსერა <sup>6</sup>	3 645	1966
	ბიჭვინთა	165	1926
	ლიძავა	1 296	1960
	მიუსერა	2184	1946
11	რიწა <sup>7</sup>	16 229	1946
12	ფსხუ-გუმისთა <sup>8</sup>	40 819	1978
	ფსხუ	27 334	1978
	გუმისთა	13 400	1978
	სკურჩა	85	1946
13	კინტრიში	10 703	1959
14	ქობულეთი	331	1998
<b>ეროვნული პარკები</b>			
1	ბორჯომ-ხარაგაული	61 235	1995
2	კოლხეთი	45 447 <sup>9</sup>	1998
3	თუშეთი	71 482	2003
4	ვაშლოვანი	24 610 <sup>10</sup>	2003
5	მტირალა	15 806	2006

<sup>4</sup> დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2009 წლის 1 აპრილის მდგომარეობის მიხედვით.

<sup>5</sup> 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ტერიტორია არ არის დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეალურ მფლობელობაში, მდებარეობს de-jure საქართველოს იურისდიქციის მფლობელობაში მყოფ ტერიტორიაზე, სადაც დე-ფაქტო სახელმწიფო კონტროლი ვერ ხორციელდება. ნაკრძალი შედგება სამი განცალკევებული დამოუკიდებელი უბნისაგან, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა.

<sup>6</sup> ტერიტორია არ არის დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეალურ მფლობელობაში, მდებარეობს de-jure საქართველოს იურისდიქციის მფლობელობაში მყოფ ტერიტორიაზე, სადაც დე-ფაქტო სახელმწიფო კონტროლი ვერ ხორციელდება. ნაკრძალი შედგება სამი განცალკევებული დამოუკიდებელი უბნისაგან, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა.

<sup>7</sup> ტერიტორია არ არის დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეალურ მფლობელობაში, მდებარეობს de-jure საქართველოს იურისდიქციის მფლობელობაში მყოფ ტერიტორიაზე, სადაც დე-ფაქტო სახელმწიფო კონტროლი ვერ ხორციელდება. ნაკრძალი შედგება სამი განცალკევებული დამოუკიდებელი უბნისაგან, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა.

<sup>8</sup> ტერიტორია არ არის დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეალურ მფლობელობაში, მდებარეობს de-jure საქართველოს იურისდიქციის მფლობელობაში მყოფ ტერიტორიაზე, სადაც დე-ფაქტო სახელმწიფო კონტროლი ვერ ხორციელდება. ნაკრძალი შედგება სამი განცალკევებული დამოუკიდებელი უბნისაგან, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩამოყალიბდა.

<sup>9</sup> მათ შორის: ხმელეთი 29 704, ზღვის აკვატორია 15 743; რეალურ მფლობელობაში არსებული ტერიტორია შეადგენს 39 001 მათ შორის: ხმელეთი 23 258, ზღვის აკვატორია 15 743.

<sup>10</sup> რეალურ მფლობელობაში არსებული ტერიტორია შეადგენს 24 598 ჰა-ს.

6	თბილისი	24 328	1946
7	ალგეთი <sup>11</sup>	6 822	1965
8	ყაზბეგი <sup>12</sup>	8 707	1976
<b>ბუნების ძეგლები<sup>13</sup></b>			
1	ალაზნის ჭალა	204	2003
2	ტახტი-თევზა	10	2003
3	არწივის ხეობა	100	2003
4	ყუმისთავის მღვიმე		2007
5	თეთრი მღვიმე		2007
6	ზომულის მღვიმე		2007
7	ცუცქვათის მღვიმე		2007
8	ნავენახევის მღვიმე		2007
9	ნაგარევის მღვიმე		2007
10	იაზონის მღვიმე		2007
11	საკაუის მღვიმე		2007
12	წყალწითელას ხეობა		2007
13	ოკაცეს კანიონი		2007
14	ოკაცეს ჩანჩქერი		2007
<b>აღკვეთილები</b>			
1	გარდაბანი	3 484	1957
2	ყორული	2 068	1965
3	იორი	1 336	1965
4	ჭაჭუნა	5 200	1965
5	კაცობური	295	1964
6	ქცია-ტაბაწყური	22 000 <sup>14</sup>	1995
7	ნეძვი	8 992	1995
8	თეთრობი	3 100 <sup>15</sup>	1995
9	ქობულეთი	439	1998
10	ილტო	6 971	2003
11	ლაგოდეხი	2 156	2003
12	აჯამეთი <sup>16</sup>	5 117	1946
<b>დაცული ლანდშაფტები</b>			
1	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	31 320	2003
2	კინტრიშის დაცული ლანდშაფტი	3 190	2007
<b>მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიები<sup>17</sup></b>			
	ახმეტა		2003
	ლაგოდეხი		2003
	ვაშლოვანი		2003

<sup>11</sup> ალგეთის ეროვნული პარკი შეიქმნა (2007 წ) ყოფილი ალგეთის ნაკრძალის ადგილას.

<sup>12</sup> ყაზბეგის ეროვნული პარკი შეიქმნა (2007 წ) ყაზბეგის ნაკრძალის ადგილას.

<sup>13</sup> ბუნების ძეგლების ფართობები (გარდა აღნიშნული სამისა) დასადგენია.

<sup>14</sup> ტერიტორია არ არის დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეალურ მფლობელობაში.

<sup>15</sup> ტერიტორია არ არის დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეალურ მფლობელობაში.

<sup>16</sup> აჯამეთის აღკვეთილი შეიქმნა (2007 წ) ყოფილი აჯამეთის ნაკრძალის ტერიტორიაზე.

<sup>17</sup> არ მომზადარა ამ დაცული ტერიტორიების იდენტიფიკაცია, ფართობების განსაზღვრა და მათი გადაცემა დაცული ტერიტორიების სააგენტოსათვის.

	კოლხეთი		1999
	ქობულეთი		1999

გარდა ჩამოთვლილი დაცული ტერიტორიებისა, საქართველოში 1997 წელს დაარსდა 2 ჭარბტენიანი ტერიტორია – ცენტრალური კოლხეთისა (337 000 ჰა) და ისპანის ჭარბის (550 ჰა) ჭარბტენიანი ტერიტორიები.

#### 4.2. დაცული ტერიტორიების არსებული ძღვომარეობა

დაცული ტერიტორიების მართვა და სტატუსი

საბჭოთა პერიოდში ნაკრძალებისა და სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობების მართვა ხორციელდებოდა ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მთავარი სამმართველოს მიერ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1992 წლის 16 ივლისიდან, მათ მართვას ახორციელებდა საქართველოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების მთავარი სამმართველო (რომელიც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა სამინისტროს დაქვემდებარებაში შედიოდა ან დამოუკიდებელ უწყებას წარმოადგენდა). 1997 წლის 9 ოქტომბრიდან დაცული ტერიტორიების მართვა გადაეცა საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სახელმწიფო დეპარტამენტს. 1996 წელს მოხდა არსებული 5 სატყეო-სამონადირეო მეურნეობისთვის აღკვეთილის კატეგორიის მინიჭება.

2004 წლის ბოლოს, დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობების სახელმწიფო დეპარტამენტმა განიცადა რეორგანიზაცია და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - “დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის” სახით შევიდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემადგენლობაში.

არსებული დაცული ტერიტორიები იქმნებოდა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა იურიდიული აქტით. საბჭოთა კავშირის პერიოდში დაარსებული დაცული ტერიტორიები შექმნილია საქართველოს სირ მინისტრთა საბჭოს აქტებით, ხოლო შემდგომ პერიოდში შექმნილი დაცული ტერიტორიები დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის დადგნილებებით, პრეზიდენტის ბრძანებულებებით, ან სპეციალური კანონებით. შესაბამისად, განსხვავებული იყო მათი იურიდიული სტატუსიც. ამ ზარვების გამოსწორების მიზნით, 2004 წელს, ყველა დაცული ტერიტორია შევიდა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შემადგენლობაში როგორც საჯარო სამართლის იურიდიული პირი. თუმცა, 2005 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ნაწილი დაცული ტერიტორიებისა დარჩა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, ხოლო ნაწილი წარმოადგენდა დაცული ტერიტორიების დეპარტამენტის ტერიტორიულ ორგანოს.

2008 წლიდან ყველა დაცული ტერიტორია წარმოადგენს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიულ აღმინისტრაციას. ამჟამად არსებობს 22 დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული აღმინისტრაცია, ესენია:

- ა) თბილისის ეროვნული პარკის აღმინისტრაცია;
- ბ) აღგეთის ეროვნული პარკის აღმინისტრაცია;
- გ) სათაფლის სახელმწიფო ნაკრძალის აღმინისტრაცია<sup>18</sup>;
- დ) აჯამეთის აღკვეთილის აღმინისტრაცია;
- ე) ყაზბეგის ეროვნული პარკის აღმინისტრაცია;
- ვ) ლიახვის სახელმწიფო ნაკრძალის აღმინისტრაცია;
- ზ) ქობულეთის დაცული ტერიტორიების აღმინისტრაცია<sup>19</sup>;
- თ) ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის აღმინისტრაცია<sup>20</sup>;

<sup>18</sup> მათ შორის: სათაფლის სახელმწიფო ნაკრძალი, იმერეთის მღვიმეების დაცული ტერიტორია (ყუმისთავის, თეთრის, ხომლის, ცუცხვათის, ნავენახევის, ნაგარევის, იაზონის, საკაჟიის მღვიმეების, წყალწითელას ხეობა, ოქაცეს კანიონის და ოკაცეს ჩანჩქერის ბუნების ძეგლები).

<sup>19</sup> მათ შორის: ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი, ქობულეთის აღკვეთილი.

- ი) კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- გ) კინტრიშის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია<sup>21</sup>;
- ღ) გარდაბნის აღკვეთილის ადმინისტრაცია;
- გ) მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია<sup>22</sup>;
- ნ) კაცობურის აღკვეთილის ადმინისტრაცია;
- ო) ჭაჭუნის აღკვეთილის ადმინისტრაცია;
- პ) ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია<sup>23</sup>;
- ჟ) ოუშეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია<sup>24</sup>;
- რ) ბაწარა-ბაბანეურის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია<sup>25</sup>;
- ს) ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია<sup>26</sup>;
- ტ) მტირალას ეროვნული პარკის ადმინისტრაცია;
- ჟ) ბიჭვინთა-ძიუსერის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია<sup>27</sup>;
- ფ) რიწის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია;
- ქ) ფსხუ-გუმისთის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაცია<sup>28</sup>.

1991 წლამდე შექმნილი დაცული ტერიტორიების სტატუსი არ იყო სრულად და ნათლად განსაზღვრული კანონმდებლობის მიერ და საჭიროებდა დაზუსტებას. 2007 წლის ბოლოს მიღებული “დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ” კანონი არეგულირებს “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის ამოქმედებამდე, საქართველოს სსრ-სა და ასევე, საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების მიერ შექმნილი დაცული ტერიტორიების სტატუსის, ფართობისა და საზღვრების, მართვისა და ფუნქციონირების თავისებურებებთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

დაცული ტერიტორიების დეპარტამენტს, 2008 წლის 1 თებერვლიდან, მიენიჭა საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და ჩამოყალიბდა როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტო. დაცული ტერიტორიების სააგენტო წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიულ ადმინისტრაციებს აქვთ ერთიანი ტიპიური დებულება.

ტიპიური დებულების მიხედვით, დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციას ხელმძღვანელობს დირექტორი. ადმინისტრაცია წარმოადგენილია ორი სტრუქტურული ქვედანაყოფით – დაცვისა და ადმინისტრაციული განყოფილებით. დაცვის ქვედანაყოფის მოვალეობაში, გარდა ფიზიკური დაცვისა, შედის ტყის დაცვითი ღონისძიებების გატარება, ტყის პათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება, კონსერვაციისა და აღდგენითი ღონისძიებების გატარება, კვლევა-მონიტორინგი, კადასტრის წარმოება, ბუნებრივი რესურსების ინვენტარიზაცია და სხვა. ჩამოთვლილი მოვალეობები შეუთავსებელია ერთმანეთთან და ხშირად შეუძლებელია მათი განხორციელება იმ მწირი დაფინანსებისა და შესაძლებლობების პირობებში, რომლებშიც დაცული ტერიტორიები არსებობენ.

<sup>20</sup> მათ შორის: ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალი, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი და ნების აღკვეთილი.

<sup>21</sup> მათ შორის: კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი და კინტრიშის დაცული ლანდშაფტი.

<sup>22</sup> მათ შორის: მარიამჯვარის სახელმწიფო ნაკრძალი, ყორულის აღკვეთილი; იორის აღკვეთილი.

<sup>23</sup> მათ შორის: ვაშლოვანის სახელმწიფო ნაკრძალი, ვაშლოვანის ეროვნული პარკი, ბუნების ძეგლები: ალაზნის ჭალის, არწივის ხეობის, ტახტიოთეფას ბუნების ძეგლები.

<sup>24</sup> მათ შორის: თუშეთის სახელმწიფო ნაკრძალი და თუშეთი ეროვნული პარკი.

<sup>25</sup> მათ შორის: ბაწარას სახელმწიფო ნაკრძალი, ბაბანეურის სახელმწიფო ნაკრძალი და ილტოს აღკვეთილი.

<sup>26</sup> მათ შორის: ლაგოდეხის სახ. ნაკრძალი და ლაგოდეხის აღკვეთილი.

<sup>27</sup> მათ შორის: ბიჭვინთის, ლიძიავის, მოუსერის ნაკრძალები.

<sup>28</sup> მათ შორის: ფსხუს, გუმისთას, სკურჩას ნაკრძალები.

## **დაცული ტერიტორიების არსებული პრობლემები**

როგორც უკვე აღინიშნა, 2005 წლის საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა “საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და ქმედებათა გეგმა”. ამ დოკუმენტმა გარკვეულად ასახა დაცული ტერიტორიების არსებული პრობლემები და მათი გადაჭრისათვის შეიმუშავა 10 წლიანი სტრატეგია და 5 წლიანი სამოქმედო გეგმა. გასული 3 წლის განმავლობაში უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები. თუმცა, ბევრი საკითხი კვლავ პრობლემური რჩება და გადაჭრას მოითხოვს. ამიტომ, მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა, საჭიროა შემდგომი მოქმედებები არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

დაცული ტერიტორიების სისტემაში დღესდღეობით, არ არსებობს ერთიანი სამოქმედო გეგმა, და მექანიზმი დაცული ტერიტორიების კოორდინირებული მუშაობისთვის, რაც ზოგად სისტემურ პრობლემად შეიძლება ჩაითვალოს. სათანადო ყურადღება არ ეთმობა დაცულ ტერიტორიებს შორის სამიგრაციო დერეფენციის არსებობის, დაცულ ტერიტორიებს შორის არსებული ტერიტორიის მდგრად გამოყენების და ხელთ არსებული ინფორმაციის გაცვლის საკითხებს.

დაცული ტერიტორიების დიდ ნაწილს არ გააჩნია მენეჯმენტის გეგმა. არსებული მენეჯმენტის გეგმების უმეტესობის მოქმედების ვადა ამოწურულია ან იწურება უახლოეს მომავალში.

დაცული ტერიტორიების სრულყოფილ მართვას გარკვეულწილად ართულებს ის ფაქტი, რომ დაცულ ტერიტორიებზე, იქ სადაც დაშვებულია სამეურნეო საქმიანობა, ბუნებრივი რესურსების სარგებლობის ლიცენზირებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ბუნებრივი რესურსების ლიცენზიების დეპარტამენტი და ამდენად, დაცულ ტერიტორიებზე არსებული ამ ბუნებრივი რესურსების მართვა არ ხორციელდება დაცული ტერიტორიების საგენტოს მიერ.

დაცული ტერიტორიების დაფინანსება მწირია და არამდგრადი. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იგი ვერ უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიების სრულფასოვან მენეჯმენტს, ფინანსურ მდგრადობას და განვითარებას. 2008 წლის 1 თებერვლიდან დაცული ტერიტორიების სააგენტოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირად ჩამოყალიბება, სავარაუდოდ, დაეხმარება სააგენტოს იქნიოს თავისი შემოსავლები.

დაცული ტერიტორიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არასრულყოფილია, რაც არასაკმარისი ბიუჯეტის პირობებში განაპირობებს ტერიტორიების დაცვისა და კანონით განთვალისწინებული სხვა მოქმედებების განხორციელების მწირ შესაძლებლობას.

არსებული საკანონმდებლო ბაზა არასრულყოფილია. არსებული კანონი “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” მოიცავს მხოლოდ ზოგადი ხასიათის ნორმა-პრინციპებს და არ ადგენს ქცევის კონკრეტულ ნორმებს.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პროფესიონალი და თანამედროვე ცოდნის მქონე კადრების ნაკლებობა, რამე სახელმწიფო პროგრამა თანამშრომელთა განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საკმაოდ მცირეა.

საბჭოთა პერიოდში შექმნილი დაცული ტერიტორიები ვერ ჰასუხობენ თანამედროვე მოთხოვნებს და საჭიროებენ ტერიტორიების მოდერნიზაციას. ფიზიკური სიმცირის გამო ზოგიერთ დაცულ ტერიტორიაზე (მაგ. ალგეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ყაზბეგის სახელმწიფო ნაკრძალი რომლებიც გადაკეთდნენ ეროვნულ პარკებად) ვერ ხერხდება უნიკალური ეკოსისტემების ფართობების და იქ გავრცელებულ სახეობათა პოპულაციების არეალების სრული მოცვა და აქედან გამომდინარე მათი ეფექტური კონსერვაცია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უკვე დაგეგმილია ალგეთის და ყაზბეგის ეროვნული პარკების გაფართოება ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ეკოტურიზმის განვითარების მიზნით. არსებული ეკოლოგიური სიტუაციისა და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ზოგიერთი დაცული ტერიტორია საჭიროებს კატეგორიის შეცვლას. მაგალითად, ზოგიერთ

დაცულ ტერიტორიაზე ძლიერ არის დეგრადირებული ეკოსისტემები და მათი აღდგენა აქტიურ მენეჯმენტს მოითხოვს, თუმცა, მსგავსი ქმედება სახელმწიფო ნაკრძალში იკრძალება. დაცული ტერიტორიის ფარგლებში უკანონოდ მიმდინარეობს ბუნებრივი რესურსების მოპოვება (ძირითადად ხე-ტყის). მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადაიდგა, ეს საკითხი კვლავ პრობლემად რჩება.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ბრაკონიერობა როგორც დაცულ ტერიტორიებზე, ასევე საქართველოს მთელი მასშტაბით. ეს დიდ საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებასა და დაცვას.

დაცულ ტერიტორიებზე საჭირო საბაზისო კვლევების ჩატარება ძალიან დაბალ დონეზეა. მცირეა დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული კვლევები და კონსერვაციის პროექტები. ისინი არასისტემატიურად და არაკონდინირებულად ხორციელდება. ამჟამად მიმდინარეობს ნიამორის რეინტროდუქცია ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში, მურა დათვის მონიტორინგი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე და ჯიქის კონსერვაციის პროექტი ვაშლოვანის ეროვნულ პარკში. ეს პროექტები ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით. დაწყებულია მოლაპარაკებები ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე ჯეირანის რეინტროდუქციის განსახორციელებლად. ნელი ტემპით მიმდინარეობს მონიტორინგის სისტემის დანერგვა. გამონაკლისს წარმოადგენს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, სადაც მონიტორინგის სამსახური შექმნილია და ფუნქციონირებს.

ახალი დაცული ტერიტორიების დაარსებისას თავს იჩენს რიგი პრობლემური საკითხები. მაგალითად, ერთი და იმავე ტერიტორიული ერთეულის განვითარებაზე სხვადასხვა უწყებასა თუ დაინტერესებულ მხარეს განსხვავებული ხდევა გააჩნია. ეს ხდება უწყებათაშორისი ან მხარეთაშორისი დაპირისპირების მიზეზი, განსაკუთრებით მწვავეა ეს დაპირისპირება ხელისუფლების ორგანოთა შორის არსებული სუსტი კოორდინაციის პირობებში.

მიწის საკუთრების და მიწათსარებლობის საკითხი ასევე მწვავე პრობლემას წარმოადგენს. მიწის რეფორმის პირველ ეტაპზე ჩატარებული მიწის სპონტანური პრივატიზაციისა და არასრულყოფილი საკადასტრო მონაცემების არსებობის პირობებში, ახალი დაცული ტერიტორიების ჩამოყალიბებისას ხშირია შემთხვევები, როდესაც დაცული ტერიტორიის ფარგლებში მოხვედრილი მიწის ნაკვეთები კერძო საკუთრებაშია ან იჯარით არის გაცემული. აღნიშნული პრობლემა ხშირად ხდება აღვილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტის მიზეზი.

დაბალია მოსახლეობის გარემოს დაცვითი ცნობიერება. მათი ინფორმირებულობა დაცული ტერიტორიებისა და მათი სარგებლიანობის შესახებ არასაკმარისია. შესაბამისად, დაბალია საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი დაცული ტერიტორიების დაგეგმვას, შექმნასა და ფუნქციონირებაში, რაც ხშირად იწვევს მოსახლეობისა და დაცული ტერიტორიების ინტერესების გადაფარვას. აღნიშნული კი განაპირობებს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის უარყოფით დამოკიდებულებას დაცული ტერიტორიების მიმართ და ზოგ შემთხვევაში, კონფლიქტს. მოსახლეობასთან სიტუაცია მწვადება როდესაც ესა თუ ის დაცული ტერიტორია იწყებს გაფართოებას და შესაბამისად, იზღუდება აღვილობრივი მოსახლეობის ინტერესები.

ადრეულ პერიოდში ერთეული დაცული ტერიტორიებისთვის სამინისტროს მიერ შექმნილ იქნა სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფნებ თავიანთ ფუნქციას. “დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ” საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის თანახმად 2008 წელს შეიქმნა 18 სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეალურ მფლობელობაში არსებულ დაცულ ტერიტორიათა 18 ადმინისტრაციის შესაბამისად. საბჭოები საჭიროებს მხარდაჭერას თავისი ფუნქციის შესრულების უზრუნველსაყოფად.

დაცული ტერიტორიების დაცვის სამსახურები მცირერიცხოვანია, ცუდად არის აღჭურვილი და შეიარაღებული. კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ხდება დაცული ტერიტორიების ფიზიკური დაცვა დაუხვეწავია. გაურკვეველია დაცული ტერიტორიების დაცვის სამსახურის,

გარემოს დაცვის ინსპექციის, სამართალდამცავებისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ურთიერთთანამშრომლობის საკითხი.

სუსტია სახელმწიფოთაშორის კოოპერაცია. მაგალითად, საქართველო-რუსეთის საზღვარი გადის უშაუალოდ ქვეყნის ჩრდილოეთით განლაგებული დაცულ ტერიტორიებზე ან მათ გვერდით. სახელმწიფოთაშორის კოოპერაცია ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიის შესახებ არ არსებობს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით უკვე დაგეგმილია ჯავახეთის ზეგანზე ტრანსასაზღვრო დაცული ტერიტორიის დაარსება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება გამოიყოს რიგი პრობლემებისა, რომლებიც არსებობს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით:

- დაცული ტერიტორიების კოორდინირებული მუშაობისა და ერთიანი სამოქმედო გეგმის არარსებობა;
- დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის თანამედროვე სისტემის არარსებობა;
- არასაკმარისი დაფინანსება;
- დაცული ტერიტორიების არასრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- არსებული საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება;
- კვალიფიციური კადრების ნაკლებობა;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებისთვის დაფინანსების არარსებობა;
- დაცული ტერიტორიების არასაკმარისი რაოდენობა;
- ზოგიერთი დაცული ტერიტორიის არაეფექტურობა ფართობის სიმცირის გამო;
- დაცული ტერიტორიების გლობალური კატეგორიების ნაკლებობა;
- მენეჯმენტის გეგმების არარსებობა დაცული ტერიტორიების უმეტესობისათვის;
- ბუნებრივი რესურსების უკანონო მოპოვება;
- ბრაკონიერობა;
- მონიტორინგის სისტემის არარსებობა;
- ინტერესთა კონფლიქტი სხვადასხვა უწყებასა თუ დაინტერესებულ პირებს შორის;
- ინტერესთა კონფლიქტი აღვილობრივ მოსახლეობასა და დაცულ ტერიტორიებს შორის;
- მიწის საკუთრებისა და მიწათსარგებლობის საკითხების გაურკვევლობა;
- მოსახლეობის დაბალი ცნობიერება;
- დაცული ტერიტორიების დაცვის სამსახურის არასრულყოფილება;
- სუსტი სახელმწიფოთაშორისი კოოპერაცია.

## **ლიტერატურა**

- ა. ქიქოძე (2007). ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები. საველე მეგზური.
- საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრი.
- ა. ქიქოძე და რ. გოხელაშვილი (2007). საქართველოს დაცული ტერიტორიები. საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრი.
- ი. მაჭარაშვილი (2007). ბიომრავალფეროვნების დაცვა და მართვა. საქართველოსა და ევროკავშირის მიდგომები. მწვანე ალტერნატივა.
- ლ. ბუთხუზი (2007). ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის პრიორიტეტები 2007-2011 წლებისათვის. (სამუშაო მასალა საქართველოს გარემოს დაცვის ქმედებათა გეგმისათვის).
- საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და ქმედებათა გეგმა (2005). თბილისი, პოლიგრაფი.
- The Ministry of Environment of Georgia (MoE) (2000). National Environmental Action Plan Georgia.
- UNEP (2002). Caucasus Environmental Outlook. GRID-Tbilisi, New Media Tbilisi.
- WWF (2003). Managemetn Effectiveness Assessment of Protected Areas using WWF's RAPPAM Methodology. Georgia.
- WWF (2006). An Economical Conservation Plan for the Caucasus. Tbilisi. Design and printing Controur Ltd.

### **ვებ-გვერდები:**

- <http://www.panda.org/> (04.02.08)
- [www.dpa.gov.ge](http://www.dpa.gov.ge) (04.02.08)
- [www.moe.gov.ge](http://www.moe.gov.ge) (04.02.08)
- [www.parliament.ge](http://www.parliament.ge) (04.02.08)
- [www.tematea.org](http://www.tematea.org) (25.05.08)


### **კანონები:**

- დაცული ტერიტორიების სააგენტოს ტერიტორიული ადმინისტრაციების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის ბრძანება №97, 28 იანვარი 2008.
- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, 7 მარტი 1996.
- საქართველოს კანონი თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ, 22 აპრილი 2003.
- საქართველოს კანონი კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ, 9 დეკემბერი 1998.
- საქართველოს კანონი ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ, 11 ივლისი 2007.
- საქართველოს კანონი იმერეთის მღვიმების დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ, 22 ნოემბერი 2007.
- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ, 22 ნოემბერი 2007.
- საქართველოს კანონი თბილისის ეროვნული პარკის შესახებ, 20 ნოემბერი 2007.
- საქართველოს კანონი მტკირალას ეროვნული პარკის შესახებ, 18 დეკემბერი 2007.

## საქართველოს დაცული ტერიტორიების რუკა

სქემა 1. საქართველოს დაცული ტერიტორიები.

წყარო: დაცული ტერიტორიების საგენტო, 2008.



დანართი 2:

საქართველოს მიერ დაცული ტერიტორიების სფეროში  
საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებებისა და  
დაცული ტერიტორიების ეროვნული გეგმის ანალიზი

**დანართი 2:** საქართველოს მიერ დაცული ტერიტორიების სფეროში საერთაშორისო კონვენციებით ნაკისრი ვალდებულებებისა და დაცული ტერიტორიების ეროვნული გეგმის ანალიზი

საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების (TEMATEA) ანალიზის მიხედვით შემუშავებული რეკომენდაციები, დაცული ტერიტორიების სფეროში	ქმედებები დაცული ტერიტორიების სამოქმედო გეგმიდან
<b>ქმედება 1.2.</b> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ეროვნული წითელი წუსხის კომისიას და სამცნობრო ინსტიტუტებს: ხელი შეუწყონ წითელი წუსხის კანაბლებას, მათ შორის ბალაზული მცენარეებისა და მტკნარი წყლის ფაუნის ეროვნულ წითელ წუსხაში შეტანა, რაც შექმნის უბნების პრიორიტეტიზაციის საფუძვლს. ასევე მათი ჩართვა უბნების სახეობებზე დამყარებული შეფასების მეთოდოლოგიებში (მაგ., მნიშვნელოვანი მცენარეების ტერიტორიების მეთოდოლოგია, მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნების შეფასება, დაცული ტერიტორიების პრობლემების ანალიზი).	<p>1.1.1. GAP ანალიზი (განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაცული ტერიტორიების ქსელის შეფასებას მცენარეთა კონსერვაციის ეფექტურობის კუთხით, გამოყენებულ იქნას IUCN-ის მცენარეთა რეგიონული წითელი წუსხის პროექტის და IUCN-ის კავკასიის მცენარეებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების პროექტის შედეგები)</p> <p>1.1.2. სარეზერვო დაცული ტერიტორიების ქსელის დაგეგმვა, კატეგორიების განსაზღვრა და დაარსება. უბნების პრიორიტეტიზირებისას კრიტიკული უბნების ქსელის ინსტრუმენტის და სხვა მეთოდების გამოყენებით</p>
<b>ქმედება 1.4.</b> დაცული ტერიტორიების საკითხებზე მუშაობის პროგრამის ეროვნულ საკონკრეტულ კომიტეტს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს: აუცილებელია თანამშრომლობა საჭირო სახსრების მობილიზაციისა და შემდეგი ასტერების ამჟამინდელი მდგრადრეობისა და ტენდენციების შესაფასებლად აუცილებელი შესაძლებლობებისა და ცოდნის დავროვების მიზნით: (1) დაცული ტერიტორიების სისტემის კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ღირებულებებისგან მიღებული სარგებელი, (2) დაცული ტერიტორიების საკითხებში დაინტერესებული მხარეების (განსაკუთრებით ადგილობრივი თემების) ჩართულობა და მონაწილეობა, (3) დაცული ტერიტორიების ინტეგრირება ზოგად სივრცით/სექტორულ დაგეგმვებაში და (4) ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის გადაწყვეტილება VIII/24 და ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის დაცული ტერიტორიების საკითხებზე მუშაობის პროგრამით გათვალისწინებული დაცული ტერიტორიების ნაკლოვანებების ანალიზი. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმ მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების მოთხოვნები, რომლის მხარესაც საქართველო წარმოადგენს. გამოყენებულ უნდა იქნეს ე.წ. მულტი-კონვენციური მიდგომა დონორების მხრიდან საპროექტო წინადაღებების მიმზიდველობის გაზრდის მიზნით.	<p>6.2.2 ცალკეული დაცული ტერიტორიების ეფექტურობისათვის ინდიკატორების შემუშავება</p>
<b>ქმედება 1.6.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, სამცნობრო ინსტიტუტებისა და ბუნების კონსერვაციის სფეროში მომენტები არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით განავრთობს საქართველოს დაცული ტერიტორიების შეფასების, მონიტორინგისა და კვლევის ყველა ასპექტში შესაძლებლობებისა და ცოდნის შენარჩუნებას და	<p>5.2.1 ყველა დაცული ტერიტორიისთვის ძირითადი ადმინისტრაციული საჭიროებების განსაზღვრა</p> <p>5.2.2. რეინჯერების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის სრულყოფა – უნიფორმა, საველე და სამაშველე ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებები</p>

<p>გაღრმავებას ისეთ დონეზე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დაცული ტერიტორიების თემატური მოდულის შეფასების ნაწილში ჩამოთვლილი კალდებულებების შესრულება. რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების საგენტოს შეიძუმავოს და განახორციელოს დაცული ტერიტორიების ისეთი მენეჯმენტის გეგმები, რომლებშიც მკვეთრად იქნება გაწერლი მიზნები და მონიტორინგის ნაწილი.</p>	<p>5.2.3. კველვისა და მონიტორინგის საშახურების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა – ლაბორატორია, საველე აღჭურვილობა, ბიბლიოთეკება</p> <p>5.2.4. ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა – ადმინისტრაციული შენობები, სატრანსპორტო საშუალებები, საოფისე და საველე ინვენტარი</p> <p>5.2.5 ადმინისტრაციული ოფისების აღჭურვა შესაბამისი გეოსაინფორმაციო სისტემებით და მისი დანერგვის უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს კვლევისა და მონიტორინგის მიმართულებებს</p>
<p><b>ქმედება 1.7.</b> დაცული ტერიტორიების საგენტოს, ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახურს, სამცნიერო ინსტიტუტებს და ბუნების კონსერვაციის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს, კერძოდ საქართველოს ბუნების შენარჩუნების ცენტრს (GCCW), როგორც BirdLife-ის ეროვნულ პარტნიორს: აუცილებელია თანამშრომლობა წყალმცურავი ფრინველების საერთაშორისო აღწერის განხორციელებისთვის საჭირო თანხების მოსახურებლად და აღწერის პროცესის განსახლებლად შესაბამის დაცულ ტერიტორიებზე (კოლხეთის ეროვნული პარკის, ქვია-ტაბაწყურის აღკვეთილის ტერიტორიების ფარგლებში) უძრკლეს ვადებში.</p>	<p>6.1.2. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბიომრავალფეროვნების ინვენტარიზაცია და განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნა</p> <p>6.2.2. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამის შემუშავება მონიტორინგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გათვალისწინებით და განხორციელება (ყურადღება მიექცეს მიგრირებად წყალმცურავი ფრინველების, ტყეების ბიომრავალფეროვნებაზე დაბინძურების ზემოქმედების რეგულარულ მონიტორინგს და გამოვლენილი საფრთხეების შესარბილებლად რეკომენდაციების გატარებას)</p>
<p><b>ქმედება 1.8.</b> დაცული ტერიტორიების საგენტოს: აუცილებელია გეოგრაფიულ საინფორმაციო სისტემებზე (GIS) დამყარებული მონიტორინგის გაცრდელება და გამოცდილების გაზიარება იმ დაცული ტერიტორიებისთვის, სადაც ეს მეორედი ჯერ არ გამოიყენება. ასევე აუცილებელია სხვა ახალი ტექნოლოგიების, როგორიცაა დისტანციური ზონდირება, დაცული ტერიტორიების, მათ შორის საზღვაო და სანაპირო დაცული ტერიტორიების მონიტორინგის პროცესში დანერგვისა და უფექტურობის შესწავლა და სამოძვლო ბიუკეტებში მონიტორინგის თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინება.</p>	<p>6.2.2. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამის შემუშავება მონიტორინგის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების გათვალისწინებით და განხორციელება (ყურადღება მიექცეს მიგრირებად წყალმცურავი ფრინველების, ტყეების ბიომრავალფეროვნებაზე დაბინძურების ზემოქმედების რეგულარულ მონიტორინგს და გამოვლენილი საფრთხეების შესარბილებლად რეკომენდაციების გატარებას)</p> <p>5.2.5 ადმინისტრაციული ოფისების აღჭურვა შესაბამისი გეოსაინფორმაციო სისტემებით და მისი დანერგვის უზრუნველყოფა, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს კვლევისა და მონიტორინგის მიმართულებებს</p>
<p><b>ქმედება 1.9.</b> დაცული ტერიტორიების საგენტო, სამცნიერო ინსტიტუტების (მათ შორის საქართველოს მცნიერებათა აკადემიის ბოლონიერისა და ზოოლოგიის ინსტიტუტებს და იღრია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ბიომრავალფეროვნების ცენტრს), საქართველოს განათლებისა და მცნიერების სამინისტროს მცნიერების</p>	<p>6.1.1. დაცულ ტერიტორიების ფარგლებში კვლევათა პროგრამების შემუშავება (განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ტყეებსა და მათ ბიომრავალფეროვნებაზე, დაბინძურების ზემოქმედების ფონზე შესწავლაზე იმ ტერიტორიებზე, რომლებიც რისკის ქვეშ</p>

<p>ეროვნულ ფონდის, საერთაშორისო დონორებისა და მეცნიერების დახმარებით, უზრუნველყოფს ისეთი ტიპის კვლევებს, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს დაცული ტერიტორიების მართვის გაუძლებელებას, განსაკუთრებით იმ პრიორიტეტულ სფეროებში, რომლებიც განსაზღვრულია მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებებით.</p>	<p>იმყოფებიან). და მათი გატარების ზელშეწყობა 7.1.1. თანამშრომლობის ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე გაძლიერების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციებისა და თანამშრომლობის სფეროების იდენტიფიცირება; პოტენციური პარტნიორებისა და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა</p>
<p><b>ქმედება 1.10.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტოს: არსებული დოკუმენტების საფუძველზე (მართვის გეგმის, IUCN-ს სახელმძღვანელო პრინციპები, დაცული ტერიტორიების ერთობლივი ტრანსსასაზღვრო სამდივნოს სახელმძღვანელო პრინციპები) უნდა შეიქმნას დაცული ტერიტორიების მართვის იმ მეთოდების ბაზა, რომლიც გამოიყენება საქართველოში.</p>	<p>1.6.1. დაცული ტერიტორიების მონაცემთა ბაზის სრულყოფა (მათ შორის დაცული ტერიტორიების მართვის მეთოდების ბაზა)</p> <p>6.1.2. დაცული ტერიტორიების ფარგლებში ბიომრავალფეროვნების ინგენტარიზაცია და განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნა</p>
<p><b>ქმედება 1.12.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტოს: დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიისა და სამუშავდო გეგმის შემუშვების პროცესში აუცილებელია საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემის მასშტაბების, წარმომადგენლობითობისა და ეფუძნებული მიზნების ჩართვა.</p>	<p>ამოცანა 1.4. არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოება</p>
<p><b>ქმედება 2.1.</b> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის: საჭიროა თანამშრომლობა ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ძიღვადი გამოყენების საკითხების დარღვევი და დარგთაშორის გეგმებში, სამთავრობო პროგრამებსა და პოლიტიკაში ინტერაციის მიზნით იმ საერთაშორისო კალდებულებების გათვალისწინებით, რომლებიც მოცემულია TEMATEA-ს დაცული ტერიტორიების თემატურ მოდულში.</p>	<p>2.1.3. კატეგორიებისა და ზონების მიხედვით დასაშვები და აკრძალული მოქმედებების განსაზღვრა კანონმდებლობით ჩარჩო კანონში</p>
<p><b>ქმედება 2.3.</b> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს და KfW-ს დაცული ტერიტორიების ერთიან ტრანსსასაზღვრო სამდივნოს, როგორც საქართველოში მომავალი ბიოსფერული რეზერვატების შექმნასა და მართვის დაგეგმვაში პოტენციურად ჩართულ ერთ-ერთ უწყებას: სხვა მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ კალდებულებებთან ადაპტაციის პროცესში განხილულ უნდა იქნეს ისეთი ბიოსფერული რეზერვატების შექმნა, რომლებშიც შევა არსებული და მომავალი დაცული ტერიტორიები. ბიოსფერული რეზერვატების ეროვნული პოლიტიკის შემუშავებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ბიოსფერულ რეზერვატებთან დაკავშირებული სევილითის სტრატეგიისა და სხვა დამატებითი დოკუმენტების სახელმძღვანელო პრინციპები. საჭიროა თანამშრომლობა ადამიანი და ბიოსფეროს (MAB) პროგრამის საქართველოს კომიტეტთან და მისი კომენტარებისა და შენიშვნების გათვალისწინება პოლიტიკის შემუშავების, ასევე ბიოსფერული რეზერვატების განსაზღვრისა და დაგეგმვის</p>	<p>1.5.1. ბიოსფერული რეზერვატების დაგეგმარება ყაზბეგში</p>

პროცესში.	
<p><b>ქმედება 2.4.</b> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს: უნდა შეიქმნას საქართველოს დაცული ტერიტორიების ისეთი სისტემის განვითარების მკაფიო პოლიტიკა და სამართლებრივი ჩარჩო, რომელშიც შევა IUCN-ის კულა კატეგორიის დაცული ტერიტორია, ბიოსფერული რეზერვაციები, მსოფლიო მემკვიდრეობის უძნები და რამსარის უძნები კულა შესაბამისი კონვენციის ვალიდებულებების შესაბამისად.</p>	<p>ამოცანები:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1.3. ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება</li> <li>1.4. არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოება</li> <li>1.5. დაცული ტერიტორიების გლობალური კატეგორიების დაარსება</li> </ol>
<p><b>ქმედება 2.5.</b> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, დაცული ტერიტორიების საყვეტოს და საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს: საჭიროა თანამშრომლობა ბიომრავალიუროვნების კონსერვაციისა და ძღვრადი გამოყენების საკითხების დარღვევით და დართაშორის კვებში, სამთავრობო პროცესებშა და პოლიტიკაში ინტევრაციის მიზნით იმ საერთაშორისო ვალიდებულებების გათვალისწინებით, რომელიც მოცემულია TEMATEA-ს დაცული ტერიტორიების თემატურ მოდულში.</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>2.1.1. არსებული კანონმდებლობის ინვენტარიზაცია, ანალიზი, შედეგების დოკუმენტირება და შესაბამისი შესწორებათა პაკეტის მომზადება</li> <li>2.1.5. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მომზადება</li> </ol>
<p><b>ქმედება 2.6.</b> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს: უნდა გაგრძელდეს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებული კანონმდებლობის ვანითარება და პარმონზაკია საერთაშორისო ვალიდებულებების უკეთ შესრულების მიზნით ტექნიკური პროცესების რეკომენდაციებსა და შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაცილეობაზე დაყრდნობით.</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>2.2.1. არსებულ საერთაშორისო კონვენციების მიმართებაში არსებული ხარვეზების შეფასება/ანალიზი და ბარიერების გამოვლენა</li> <li>2.2.2. საერთაშორისო კონვენციების მიმართებაში არსებული ბარიერების აღმოფხვრის სამოქმედო გეგმის მომზადება და განხორციელება</li> </ol>
<p><b>ქმედება 2.8.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტოს: დაცული ტერიტორიების (IUCN-ის კულა კატეგორიის, ბიოსფერულ რეზერვაციებში არსებული დაცული ტერიტორიების, რამსარის უძნებზე ჭარბტენაანი დაცული ტერიტორიების, მსოფლიო მემკვიდრეობის ბუნებრივი/შერეული უძნების და დაცული ტერიტორიების შემცველი დერეფენციების ჩათვლით) დასასარსებლად აუცილებელია დამატებითი უძნების გამოვლენა და პრიორიტეტიზაცია კაგვასის ეკორევიონული კონსერვაციის კეთილმარტინი რეკომენდაციებისა და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების გათვალისწინებით და დაცული ტერიტორიების საერთო ფართობის მიზნით.</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1.3 ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება</li> <li>1.4 არსებული დაცული ტერიტორიების გაფართოება</li> </ol>
<p><b>ქმედება 3.1.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტოს: საჭიროა IUCN/WCPA-ს (IUCN-ის დაცული ტერიტორიების მსოფლიო კომისია) დაცული ტერიტორიების საუკუთხოსო პრაქტიკის სახელმძღვანელო ზოგადი პრინციპების ადაპტაცია მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების დაცული ტერიტორიების დაგეგმვასთან დაკავშირებული კულა ვალიდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად. ეს პრინციპები გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც ეროვნული სახელმძღვანელო პრინციპები დაცული ტერიტორიების მართვის დაგვამის პროცესში. ამ პრინციპებზე დაყრდნობით უნდა შემუშავდეს მართვის გეგმები იმ დაცული ტერიტორიებისთვის,</p>	<ol style="list-style-type: none"> <li>3.1.1. მენეჯმენტის გეგმების შექმნის სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა IUCN/WCPA-ის დაცული ტერიტორიების საუკუთხოსო პრაქტიკის სახელმძღვანელო ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით და იურიდიული ძალის მინიჭება</li> </ol>

<p>რომლებსაც ჯერ მართვის გეგმები არ ვააჩნიათ. პრინციპები უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე და უნდა მოხდეს IUCN/WCPA-ს (IUCN-ის დაცული ტერიტორიების მსოფლიო კომისია) დაცული ტერიტორიების საუკეთესო პრაქტიკის დამატებითი სახელმძღვანელო პრინციპების აღაპტაცია ეროვნული პრიორიტეტების შესაბამისად.</p>	
<p><b>ქმედება 3.2.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტოს: საქართველოს დაცული ტერიტორიების ეროვნული სისტემის გრძელვადიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შეძლვომის განვითარების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების ის ვალდებულებები, რომლებიც ეხება ეკოლოგიური ქსელების განვითარებას. უნდა განხორციელდეს დაცული ტერიტორიების გარშემო არსებული ბუფერული ზონების, გარდამავალი ზონებისა და ეკოლოგიური დერეფენციის შექმნასა და მართვასთან დაკავშირებული ახალი დებულებები მას შეძლება, რაც ისინი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით. დაცული ტერიტორიების სისტემის მართვა უნდა განხორციელდეს როგორც ეკოლოგიური დერეფენციის მართვა, რომლის მიზანია დაცული ტერიტორიების ფარგლებში ეკოლოგიური პროცესების შენარჩუნება.</p>	<p>1.2.1. ეკოლოგიური კორიდორების სისტემის შექმნა (დაგეგმარება)</p>
<p><b>ქმედება 3.4.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტო ეკოლოგიური (განსაკუთრებით პან-კუროპული) ქსელების დაგეგმვისას ითვალისწინებს მიზრაციული სახეობების შესახებ კონკრეტით მიზრაციული სახეობების შესახებ ვალდებულებებსა და ბიომრავალფეროვნების შესახებ კონკრეტით in-situ მცენარეთა კონსერვაციისთვის ვალდებულებებს და ახდენს მათ ინტეგრირებას დაცული ტერიტორიების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში. იყენებს IUCN-ის მცენარეთა რეგიონული წითელი ნუსხის პროექტის და IUCN-ის კავკასიის მცენარეებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების პროექტის შედეგებს საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელის ეფექტურობის შესაფასებლად მცენარეთა კონსერვაციის კუთხით, რათა დაკამაყოფილებებს ბიომრავალფეროვნების შესახებ კონკრეტის გადაწყვეტილება VI/9. განხილულ უნდა იქნეს მცენარეებისთვის დაცული ტერიტორიების ფართობის გაზრდის რეკომენდაციები ეროვნული პრიორიტეტების გათვალისწინებით.</p>	<p>1.1.1. GAP ანალიზი (განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაცული ტერიტორიების ქსელის შეფასებას მცენარეთა კონსერვაციის ეფექტურობის კუთხით, გამოყენებულ იქნას IUCN-ის მცენარეთა რეგიონული წითელი ნუსხის პროექტის და IUCN-ის კავკასიის მცენარეებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების პროექტის შედეგები)</p>
<p><b>ქმედება 3.7.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტო უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების დაცულ ტერიტორიებში ძალაში ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი დებულების განხორციელება.</p>	<p>3.1.2. ტურიზმის მენეჯმენტის გეგმის სახელმძღვანელო დოკუმენტის შექმნა 3.1.3. დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და დიზაინის სახელმძღვანელო დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება</p>
<p><b>ქმედება 3.8.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტოს: საქართველოში დაცული ტერიტორიების მართვის გასუმჯობესებლად გამოყენებულ უნდა იქნეს 2003 და</p>	<p>1.1.1. GAP ანალიზი (განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დაცული ტერიტორიების ქსელის შეფასებას მცენარეთა</p>

<p>2008/2009 წლებში ჩატარებული დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტურობის შეფახების რეკომენდაციები, როგორც ამას ითხოვს კონკენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ და სხვა მრავალმხრივი გარემოსძაცვითი შეთანხმებების დებულებები.</p>	<p>კონსერვაციის ეფექტურობის კუთხით, გამოყენებულ იქნას IUCN-ის მცენარეთა რეგიონული წითელი წესის პროექტის და IUCN-ის კავკასიის მცენარებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიების პროექტის შედეგები</p>
<p><b>ქმედება 3.15.</b> საქართველოში უნდა განახლდეს ბუნებრივი დირებულებების კრიტერიუმებზე დამყარებული მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების გამოვლენის პროცესი და უნდა გაკეთდეს მოთხოვნა ზემო სკანერისთვის მსოფლიო მემკვიდრეობის უბნების სიაში შესაყვანი დამატებითი კრიტერიუმების (კომბინირებული ბუნებრივი/კულტურული) გამოყენების თაობაზე.</p>	<p>1.3.1. პოტენციური ბუნების ძეგლების გამოვლენა და სის შემუშავება დასამტკიცებლად</p>
<p><b>ქმედება 3.16.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტოს: საქართველოს დაცულ ტერიტორიებში და მათ ფარვლებს გარეთ ეკოსისტემებისა და ჰაბიტატების აღდგენის პროცესების პრიორიტეტიზაციის, დაგევმისა და განხორციელების დროს, ასევე ახალი დაცული ტერიტორიების, მაგალითად გადაშენების ზღვარზე ჭყოფი გადამფრენი წყალმცურავი ფრინველებისთვის, შექმნის პროცესში აუცილებელია მრავალმხრივი გარემოსძაცვითი შეთანხმებების, კერძოდ კი ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციის, რამსარის კონვენციისა და მივრაციული სახეობების შესახებ კონვენციის შესაბამისი დებულებების გათვალისწინება.</p>	<p>3.3.1. ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება (მაგ. დაცული ტერიტორიების ფარგლებში საძოვრების და ტყეების ინვენტარიზაცია, მენეჯმენტის გეგმების შემუშავება/დახვეწა და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის პროგრამების შემუშავება)</p> <p>3.4.1. კოლხური ტყეების აღდგენა და მოვლა</p> <p>3.4.5. კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე სანურების მოწყობა (20 ჰა)</p>
<p><b>მედება 3.17.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტო სატყეო დეპარტამენტისა და ლიკენზირებისა და ნებართვების სამსახურთან ერთად თანამშრომლობს ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე. დაცულ ტერიტორიებში და მათ ფარვლებს გარეთ ბუნებრივი რესურსების გამოყენების ლიკენზირების გაცემის დროს აუცილებელია ზემოთაღნიშვნული მრავალმხრივი გარემოსძაცვითი შეთანხმების დებულებების გათვალისწინება.</p>	<p>3.3.1. ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება (მაგ. დაცული ტერიტორიების ფარგლებში საძოვრების და ტყეების ინვენტარიზაცია, მენეჯმენტის გეგმების შემუშავება/დახვეწა და დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენის პროგრამების შემუშავება)</p>
<p><b>ქმედება 4.5.</b> დაცული ტერიტორიების სააგენტო, დაცული ტერიტორიების საკითხებზე მუშაობის პროგრამის ეროვნულ საკოროდინაციო კომიტეტის და გაერთიანებული ერგის განვითარების პროგრამას (UNDP): საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემისთვის ძირითადი დაფინანსებისა და რესურსებით უზრუნველყოფის სტრატეგიის შემუშავების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს ბიომრავალფეროვნების შესახებ, რამსარისა და კლიმატის ცვლილების შესახებ კონვენციების მიერ განსაზღვრული კალდებულებები და დაფინანსების ინსტრუმენტების ფართო სპექტრი კერძო სექტორის, ნებაყოფლობითი გადასახადებისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ჩათვლით.</p>	<p>4.1.6. დაცული ტერიტორიების მხარდამჭერთა კლუბების შექმნა და მარკეტინგი</p> <p>4.1.7. კერძო სექტორისთვის დაცულ ტერიტორიებში რეკლამის განთავსების შესაძლებლობების შესწავლა-განხორციელება</p> <p>4.1.8. მართვის უფლების გადაცემის (კონცესია) წესების დადგენა (სასტუმროები, საზოგადოებრივი კვების ობიექტები, საკონფერენციო და სხვა ინფრასტრუქტურა)</p>
<p><b>ქმედება 5.1.</b> დაცული ტერიტორიების სამუშაო პროგრამით გათვალისწინებული კალდებულებების შესასრულებლად გაიზარდოს დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან კვეყნაში.</p>	<p>4.1.1. მიზნობრივი პროგრამების შემუშავება სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გაზრდის მიზნით</p>
<p><b>ქმედება 5.2.</b> საქართველოს მთავრობამ უნდა მოახდინოს დონორების კოორდინაცია, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაცული ტერიტორიების სისტემის განვითარების</p>	<p>4.1.2. დონორების დაინტერესებისა და მოზიდვის მექანიზმების შემუშავება: პროგრამისა და სტრატეგიის შემუშავება,</p>

<p>არსებული გეგმებისა და ამოცანების სათანადო დაფინანსება საერთაშორისო დონორი წყაროებით.</p>	<p>ტრეინინგები, ადამიანური რესურსები</p>
<p><b>ქმედება 5.3.</b> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს: განხილულ უნდა იქნეს დაცული ტერიტორიების მართვაში მონაწილე პირებისთვის დაგეგმილი ტრეინინგ ცენტრის გაფართოების შესაძლებლობა, რათა იგი გამოყენებულ იქნეს საგანმანათლებლო და ტრეინინგ ცენტრად საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემასთვის, ხადაც დაინტერესებულ მხარეთა ფართო სკექტრი მონაწილეობას მიიღებს ისეთი სასწავლო კურსების შემუშავებაში, რომლებიც დაფუძნებული იქნება ეროვნულ გამოცილებაზე, ასევე სწავლების საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრინციპებსა და ბიომრავლეუროვნებასთან დაკავშირებული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების ინსტრუმენტებზე.</p>	<p>5.1.1. თანამშრომლების ტრეინინგის საჭიროებების შეფასება/გამოვლენა 5.1.2. შესაბამისი სწავლების პროგრამების განხორციელება (მოდულების და სახელმძღვანელოების შექმნა, ტრენერების ტრეინინგის პროგრამის შემუშავება) – რეინჯერებისთვის, ბუნებრივი რესურსების მართვის, ეკო-განათლებისა და ვიზიტორთა სამსახურის სპეციალისტებისთვის</p>
<p><b>ქმედება 5.5.</b> ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების მიზნით საერთაშორისო ტექნიკური თანამშრომლობის პროცესების დაგეგმვისა და განხორციელებისას გათვალისწინებულ იქნას საერთაშორისო შეთანხმებები და შესაბამისი ვალდებულებები.</p>	<p>ამოცანა 3.6. ინსტიტუციურ-ორგანიზაციული მოწყობის სრულყოფა</p>
<p><b>ქმედება 6.3.</b> დაცული ტერიტორიების საკენტოს: საჭიროა თანამშრომლობა კერძო სექტორთან და საერთაშორისო დონორებთან ისეთი სატელევიზიო პროგრამების შესაქმნელად, რომლებიც ამაღლებენ საზოგადოებრივ ცნობიერებას და გავრცელებენ ინფორმაციას საქართველოს დაცული ტერიტორიების და ბიომრავლეუროვნების შესახებ, კერძო, შეეხებან დაცული ტერიტორიების თემატური მოდულის თავი 6.3.1.–ში ჩამოთვლილ თემებს. აუცილებელია თანამშრომლობა ვანათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დაცული ტერიტორიებთან დაკავშირებული საკითხების საკოლო სახელმძღვანელოებში შეტანის მიზნით.</p>	<p>7.1.3. დაინტერესებულ მხარეთა უწყვეტი ინფორმირება – სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და განხორციელება (ვებ-გვერდი, რადიო, TV, შესვედრები, ბეჭდვითი მასალები, ფილმები) 7.1.6. მედიატურების ორგანიზება 7.3.8. სარეკლამო საქმიანობა (ბეჭდვითი, სატელევიზიო, რადიო, ვებ-გვერდი)</p>
<p><b>ქმედება 7.1.</b> ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიების საკითხებზე სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავება კავკასიის კორეგიონული კონსერვაციის თანახმად და შესაბამისი საერთაშორისო შეთანხმებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.</p>	<p>1.3.6. კავკასიის დაცული ტერიტორიების დაარსება; მოიცავს ჯავახეთი-არაის ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიის შექმნას 1.3.7. ლაგოდეხი-ბელექანის ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიის შექმნა 1.3.9. ერუშეთი-პოსვის ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიის შექმნა 1.3.10. მაჭახელა-ჯამილის ტრანსსასაზღვრო დაცული ტერიტორიის შექმნა</p>
<p><b>ქმედება 7.2.</b> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს, კერძო დაცული ტერიტორიების საკენტოს: TEMATEA-ს დაცული ტერიტორიების თემატური მოდულის გამოყენებით უნდა განისაზღვროს ის სფეროები, ხადაც შესაძლებელია საქართველოს ვალდებულებების უკეთ შესრულება სახელმწიფოებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან</p>	<p>7.1.1. თანამშრომლობის ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე გამლიერების მიზნით შესაბამისი ორგანიზაციებისა და თანამშრომლობის სფეროების იღენტიფიცირება; პოტენციური პარტნიორებისა და ორგანიზაციების მონაცემთა ბაზის შექმნა</p>

ინტენსიური თანამშრომლობის გზით.	
<p><b>ქმედება 8.1.</b> საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და დაცული ტერიტორიების საკუთრებულების: უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს სპეციალური პოლიტიკა დაცული ტერიტორიების დაგეგმვასა და მართვაში დაინტერესებული მხარეებისა და აღვილობრივი თემების მონაწილეობის შესახებ TEMATEA-ს დაცული ტერიტორიების თემატურ მოდულში მოცემული მრავალმხრივი გარემოსდაცვითი შეთანხმებების მიერ განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად. აუცილებელია თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საერთაშორისო დონორებთან აღვილობრივი დაინტერესებული მხარეების დაცული ტერიტორიების დაგეგმვასა და მართვაში მონაწილეობის შესაძლებლობების გაზრდის უზრუნველსყოფად.</p>	<p>4.1.6. დაცული ტერიტორიების მხარდამჭერთა კლუბების შექმნა და მარკეტინგი      7.1.2. საუწყებათშორისი საბჭოს შექმნა და საკოორდინაციო შეხვედრების ორგანიზება</p>
<p><b>ქმედება 8.2.</b> დაცული ტერიტორიების აღმინისტრაციებს უნდა დაუკალოთ დაცული ტერიტორიების საკონსულტაციო საბჭოების შექმნა და აღდგენა, რომელებშიც მონაწილეობას მიიღებენ აღვილობრივი დაინტერესებული მხარეები. უნდა შემუშავდეს დაცული ტერიტორიები საკონსულტაციო საბჭოების ტექნიკური დავალებები, რომელშიც ნათლად იქნება ასახული აღვილობრივი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის მექანიზმები.</p>	<p>7.2.1. ცალკეული დაცული ტერიტორიების საკონსულტაციო საბჭოების ფუნქციონირების ხელშეწყობა</p>